

„გამტპიცებ“

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება „საქწყალკანალის“
დირექტორი

_____ გ. განდელაკი

" ____" 2008

სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე
ზემოქმედების შესწავლის ანგარიში

გვ. № - - -

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქწყალკანალის“
საქმიანობის

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში



თბილისი-2008

საწარმოს დასახელება	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქ-წყალპანალი“
საწარმოს განთავსების ადგილი	გარდაბნის რაიონი
საწარმოს იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, მაჩაბელის ქ. №2
საქმიანობის სახეობა	ჩამდინარე წყლების გაწმენდა
საწარმოს დირექტორი	მერაბ კანდელაკი
საკონტაქტო ტელეფონი	ტელ: (+995 32) 92 28 58
გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი პირი	მეგლუდ არევაძე ტელ: (+995) 99 909281
გარემოს დაცვის საკითხებზე მაკონტროლებელი ორგანო	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
ანგარიში მოამზადა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქწყალპანალი“ დირექტორი – მერაბ კანდელაკი ტელ: (+995 32) 92 28 58

ანოტაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს“ შემუშავებული „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის შემადგენელ ნაწილს, რომელიც მუშავდება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, აგრეთვე გარემოსდაცვითი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოქმედი საწარმოსათვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად საჭირო პროცედურების გასავლელად.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეფასებულია ემისიების ზღვრულად დასაშვები ნორმები – გარემოს ფონური მდგომარეობის, ხარისხობრივი ნორმების, სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების, ობიექტის განლაგების, რაიონის ეკოლოგიური და კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

წინამდებარე დოკუმენტაციაში, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ოდენობისა და ხასიათის განსაზღვრის მიზნით, დადგენილია ზემოქმედების ფაქტორები, ძირითადი ობიექტები, გავრცელების მასშტაბი, შეფასებულია ზემოქმედების სახეები და მოცემულია ზემოქმედებით გამოწვეული მდგომარეობის ანალიზი, გამოვლენილია ზემოქმედების შემცირების შესაძლებლობები, საწარმოს ფუნქციონირების შესაძლო ზემოქმედება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

დოკუმენტაციაში განსაზღვრულია ზემოქმედების კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდები, გარემოზე ზემოქმედების დადგენილი და შესაძლო უარყოფითი გავლენის თავიდან აცილებისა და შერბილების დონისძიებები.

ანგარიში შედგენილია სამსახურებრივი სარგებლობისათვის 7 ეგზემპლარად:

ეგზ. № 1 - № 5 – წარედგინება ნებართვის გამცემ ორგანოს (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს).

ეგზ. № 6, №7 – ინახება შ.პ.ს. „საქართველოს“,

შინაარსი

შესავალი	5
ძირითადი ცნებები და განმარტებები	7
საქართველოს პოლიტიკა და კანონმდებლობა გარემოს დაცვის სფეროში	12
მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საწარმოში არსებული გარემოსდაცვითი დოკუმენტაცია	34
ზოგადი ინფორმაცია გამწმენდი ნაგებობის შესახებ	35
გამწმენდი ნაგებობის მუშაობის ტექნოლოგიური რეჟიმი	37
ალტერნატივების განხილვა	50
საწარმოს ტერიტორიის განლაგების რაიონის მოკლე ეკონომიკური და გეოგრაფიული დახასიათება	51
სოციალურ-ეკონომიკური საკითხები	61
ფლორა და ფაუნა	70
ატმოსფერული ჰაერის ხარისხი	82
ნარჩენების მართვა	86
წყლის რესურსების დაცვა	89
ღონისძიებები ავარიული შემთხვევების თავიდან ასაცილებლად	99
გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმა	100
რეკომენდირებული ღონისძიებები	101
მონიტორინგი	101
შემარბილებელი ღონისძიებები	106
საწარმოს ლიკვიდაცია	108
გამოყენებული ლიტერატურა	109
დანართები	110

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი შესრულებულია საქართველოს კანონდებლობისა და მათ საფუძველზე გამომდინარე მიღებული კანონქვემდებარე-ნორმატიული აქტების შესაბამისად.

წარმოდგენილი პროექტი მოიცავს ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის გადაწყვეტილების მისაღებად.

ნაშრომში განხილულია გარდაბნის რაიონში განლაგებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქწყალკანალის” გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირების შედეგად გარემოზე ზემოქმედების რაოდენობრივი და სარისხობრივი მაჩვენებლები.

დოკუმენტაციის მიზანია, ობიექტის საქმიანობისათვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად ობიექტურად განისაზღვროს გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი ასპექტები, შესწავლილ იქნეს საწარმოს განლაგების რაიონის ბუნებრივი და სოციალური გარემოს არსებული მდგომარეობა, შეფასდეს ამ გარემოზე დაგეგმილი საქმიანობის საწარმო ობიექტის გავლენის მასშტაბები და წარმოდგენილ იქნეს მოსაზრებები უარყოფითი ზემოქმედების პარამეტრების რეგულირების მისაღწვევად.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში საფუძვლიანი ანალიზია ჩატარებული გარემოს ცალკეული კომპონენტების დაცვის უზრუნველსაყოფად - ობიექტის განლაგების რაიონისათვის დამახასიათებელი მეტეოროლოგიურ-კლიმატური და არსებული ჰკოლოგიური პირობების ფაქტიურ მონაცემებზე დაყრდნობით.

დოკუმენტაციაში განსაზღვრულია ზემოქმედების კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდები, გარემოზე ზემოქმედების დადგენილი და შესაძლო უარყოფითი გავლენის თავიდან აცილების ან შერბილების ღონისძიებები. ქვეყანაში მიღებული საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის მოთხოვნების შესაბამისად, შემუშავებულია სამეცნიერო პოლიტიკა საქმიანობის ყველა ეტაპისათვის.

ანგარიშში განხილულია სამართლებრივი ასპექტები და დეტალურადაა განხილული საერთაშორისო ურთიერთობებით განსაზღვრული და ეროვნული გარემოსდაცვითი პოლიტიკით დადგენილი მიდგომები მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის განხილვას გარემოს დაცვის სფეროში.

გაანალიზებულია ობიექტის განთავსების ტერიტორიის პიდრომეტეროლოგიური და კლიმატური, აგრეთვე გეოლოგიური და სეისმური პირობები, გადმოცემულია ბუნებრივი და სოციალური გარემოს კომპონენტების საერთო დახასიათება.

მოცემულია საქმიანობის ტექნოლოგიური სქემა და რეგლამენტი, მოთხოვნები ბუნებრივ და ენერგეტიკულ რესურსებზე, მავნე ნივთიერებების გარემოში ემისიის წყაროები.

დოკუმენტაციის შემაჯამებელ ნაწილში მოცემულია გარემოსდაცვითი რეკომენდაციები, გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმა, მონიტორინგის სქემა და სხვა მონაცემები გარემოზე ზემოქმედების შეფასებისათვის.

წარმოდგენილი მასალები და კვლევის შედეგები ქმნიან საფუძველს ობიექტის საქმიანობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზეგავლენის სრულფასოვანი და ობიექტური შეფასების პირობების დასადგენად.

ძირითადი ცნებები და განმარტებები

წინამდებარე დოკუმენტაციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (შემდგომში – ნებართვა) – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფორმით, განუსაზღვრელი ვადით მინიჭებული უფლება, რომელიც გაიცემა საქმიანობის განმახორციელებელზე და საქმიანობის დაწყების სამართლებრივი საფუძველია;

„სანებართვო მოწმობა“ – ნებართვის ფლობის დამადასტურებელი საბუთი;

„ნებართვის მაძიებელი“ – ნებართვის მიღების მსურველი პირი;

„ნებართვის გამცემი“ – ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც კანონით დადგენილი წესით გასცემს ნებართვას;

„ნებართვის მფლობელი“ – პირი, რომელსაც ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე მინიჭებული აქვს უფლება განახორციელოს ნებართვით განსაზღვრული ქმედება, ან სხვა ნებართვის მფლობელის მიერ გადაცემული აქვს სანებართვო ქმედების განხორციელების უფლება;

„სანებართვო მოსაკრებელი“ – ერთჯერადი სავალდებულო გადასახდელი საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში ან შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტში (თუ ნებართვას გასცემს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანო), რომელსაც ნებართვის მაძიებელი იხდის კანონით ან კანონის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ (თუ ნებართვას გასცემს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანო) დადგენილი ოდენობით, მისთვის კანონით განსაზღვრული სანებართვო ქმედების განხორციელების უფლების მინიჭებისათვის. სანებართვო მოსაკრებლით გაითვალისწინება ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული ხარჯები;

„სანებართვო პირობები“ – კანონით ან კანონის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნებისა და ინფორმაციის ამომწურავი ნუსხა, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად და ნებართვით განსაზღვრული ქმედების განხორციელებისას;

საქმიანობის განმახორციელებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი

(რომელიც არ არის იურიდიული პირი), რომელიც არის ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების ინიციატორი და მიმართავს შესაბამის ორგანოს ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების უფლების მისაღებად;

„გარემოს დაბინძურება (მავნე ნივთიერებების ემისია)“ – გარემოს კომპონენტებში შენარევების არსებობა, ან მათ შემადგენლობაში მუდმივად არსებული ნივთიერებების ნორმალური თანაფარდობის შეცვლა, რომელმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე და ჯანმრთელობაზე, აგრეთვე გარემო ფაქტორებზე;

„გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ)“ – დაგეგმილი საქმიანობის შესწავლისა და გამოკვლევის პროცედურა, რომლის მიზანია გარემოს ცალკეული ელემენტების, ადამიანის, ასევე ლანდშაფტის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე, ნიადაგზე, ატმოსფერულ ჰაერზე, წყლის ობიექტებზე, კლიმატზე, ეკოსისტემებზე და ისტორიულ – კულტურულ ძეგლებზე ან ყველა ჩამოთვლილი ფაქტორების ერთიანობაზე (მათ შორის, ამ ფაქტორების ზეგავლენა კულტურულ მემკვიდრეობაზე და სოციალურ-ეკონომიკურ ფასეულობებზე) პირდაპირი და არაპირდაპირი (პოტენციური) მოსალოდნელი ზემოქმედების შესწავლა, გამოვლენა, აღწერა და გარემოს ახალი მდგრამარეობის ანალიზი;

„გარემო“ – ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ სახეშეცვლილი (კულტურული) გარემოს ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არაცოცხალ, შენარჩუნებულ და ადამიანის მიერ სახეშეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს;

„გარემოს დაცვა“ – ადმინისტრაციულ, სამეურნეო, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ და საზოგადოებრივ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოში არსებული ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნებას და აღდგენას;

„გარემოს დაცვის სამენეჯმენტო სისტემა“ – საქმიანობის ობიექტის მართვის სისტემისა და ბიზნეს-სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს გარემოზე ზემოქმედების საკითხებთან პირდაპირ და არაპირდაპირ დაკავშირებულ, ობიექტის ფუნქციონირების ყველა ასპექტს (გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმის, გარემოსდაცვითი პოლიტიკის, ორგანიზაციისა და საკადრო უზრუნველყოფის ჩათვლით);

„ინგესტორი“ – საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტი, რომელიც არის საქმიანობის ინიციატორი და მიმართავს გარემოსდაცვითი ნებართვის გამცემ ორგანოს კანონით განსაზღვრული ჩამონათვალის შესაბამისი ნებართვის მისაღებად;

„გარემოს დაცვის ნორმები” – გარემოზე საქმიანობის ზემოქმედების ისეთი ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოს ეკოლოგიურ წონასწორობას. ამ მიზნით დაწესებული გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები – ატმოსფერულ ჰაერში, წყალში და ნიადაგში ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციებისა და მიკროორგანიზმების რაოდენობათა ზღვრულად დასაშვები ნორმები, ხმაურის, ვიბრაციის, ულტრაბეგერითი და სხვა სახის ფიზიკური ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმები, რადიაციული ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმები, გარემოში მავნე ნივთიერებათა ემისიისა და მიკროორგანიზმებით გარემოს დაბინძურების ზღვრულად დასაშვები ნორმები, გარემოში ქიმიურ საშუალებათა გამოყენების ნორმები, ეკოლოგიური მოთხოვნები პროდუქციისადმი, გარემოზე დატვირთვის ნორმები;

„მდგრადი განვითარება” – საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას – ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთ;

„მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია, ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლება” – ისეთი რეკონსტრუქცია, ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლება, რომელიც ძირეულად ცვლის საქმიანობის პარამეტრებს და რომელთა განსახორციელებლად საჭიროა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტის დამუშავება;

„საუკეთესო ტექნოლოგია” – გარემოსდაცვითი თვალსაზრისით საუკეთესო, გამოყენებადი და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი ტექნოლოგია, რომელიც უველაზე უფრო ეფექტურია გარემოზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების, მინიმუმამდე შემცირების, ან გარდაქმნის თვალსაზრისით, შესაძლოა არ იყოს ფართოდ დანერგილი და გავრცელებული, მაგრამ მისი ათვისება, დანერგვა და გამოყენება შესაძლებელია ტექნიკური თვალსაზრისით, შესაძლოა ეკონომიკურად არ განაპირობდეს მნიშვნელოვნად მაღალი ღირებულების ხარჯზე ზღვრული გარემოსდაცვითი სარგებლის მიღების მიზანშეწონილობას, მაგრამ იგი, ამავე დროს, ეკონომიკური თვალსაზრისით ხელმისაწვდომია საქმიანობის სუბიექტისათვის;

„საქმიანობა” – სამეწარმეო, სამეურნეო ან ყველა სხვაგვარი საქმიანობა, განსახლებისა და განვითარების გეგმებისა და პროექტების განხორციელება, ინფრასტრუქტურული პროექტების, განაშენიანებისა და სექტორული განვითარების გეგმების, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყლის, ტყის, მიწის, წიაღისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და სარგებლობის პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ჩათვლით, ასევე

არსებული საწარმოების მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია და ტექნიკურ-ტექნოლოგიური განახლება;

„ფონური დაბინძურება“ - - გარემოს კომპონენტების დაბინძურების ყველა არსებული წყაროების ერთობლივი მოქმედება, რომელიც ჩამოყალიბდა გარკვეულ რაიონში, ახალი ობიექტის მშენებლობისას ან არსებული წყაროების სავარაუდო გაფართოების მომენტისაზე;

„ბუნებრივი გარემო“ - გარემოს შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ბუნებრივ ელემენტებს და მათ მიერ ჩამოყალიბებულ ბუნებრივ ლანდშაფტებს;

„ბიომრავალფეროვნება“ - ცოცხალ ორგანიზმთა მრავალსახეობა, სმელეთის, ზღვის და წყლის ეკოსისტემები და ეკოლოგიური კომპლექსები, რომლებიც მოიცავს მრავალფეროვნებას სახეობის ფარგლებში, სახეობათა შორის და ეკოსისტემებში;

„ნარჩენები“ - ნებისმიერი ნივთიერება ან ობიექტი, რომელიც შეიძლება არსებობდეს წარმოების და/ან მოხმარების პროცესის შედეგად მიღებული ნედლეულის, მასალის, ნახევარფაბრიკატის, სხვა ნაკეთობისა და პროდუქტის ნაშთის სახით, ასევე, იმ პროდუქციის (საქონლის) სახით, რომელმაც დაკარგა სამომხმარებლო თვისებები და რომელთა გადაყრას, განადგურებას ან სხვა ფორმით თავიდან მოცილებას ახორციელებს ან მიზნად ისახავს მისი მფლობელი ან თუ ამგვარი რამ (როგორც ვალდებულება) გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობის მიერ დადგენილი სამართლებრივი მოთხოვნებიდან;

„ნარჩენების მწარმოებელი“ - ნებისმიერი პირი, რომლის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება ნარჩენები;

„ნარჩენების მფლობელი“ - ნარჩენების მწარმოებელი და/ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც ნარჩენების ფლობის ვალდებულება შეიძლება დაეკისროს საქართველოს კანონმდებლობის მიერ დადგენილი სამართლებრივი მოთხოვნების საფუძველზე;

„ნარჩენების მართვა“ - საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილებასთან, მათ წარმოქმნასთან, შეგროვებასთან, ტრანსპორტირებასთან, გამოყენებასთან, გაუვნებელყოფასა და განთავსებასთან;

„ნარჩენების განთავსება“ - ნარჩენების შენახვა და/ან ჩამარხვა;

„ნარჩენების შენახვა“ – ნარჩენების დასაწყობება ნარჩენების განთავსების ობიექტზე, მათი შემდგომი ჩამარხვის, გაუვნებელყოფის ან გამოყენების მიზნით;

„ნარჩენების ჩამარხვა“ – ნარჩენების იზოლაცია სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ადგილზე და/ან სათავსში, ნარჩენების შემადგენლობაში შემავალი მავნე ნივთიერებების გარემოში მოხვედრის თავიდან აცილების მიზნით;

„ნარჩენების გამოყენება“ – ნარჩენების მოხმარება პროდუქციის (საქონლის) წარმოების, სამუშაოთა შესრულების, მომსახურეობის გაწვის ან ენერგიის მიღების მიზნით;

„ნარჩენების გაუვნებელყოფა“ – ნარჩენების დამუშავება (მათ შორის ნარჩენების დაწვა სპეციალურ დანადგარებში), ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ნარჩენების მავნე ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით;

„ნარჩენების გაუვნებელყოფის და/ან განთავსების ობიექტი“ – სპეციალურად მოწყობილი ადგილი, ნაგებობა ან სათავსო, რომელიც განკუთვნილია ნარჩენების გაუვნებელყოფის და/ან განთავსებისათვის;

„ევროკავშირის კანონმდებლობა“ – ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საბჭოს, ევროგაერთიანების საბჭოს, ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის მიერ მიღებული დებულებები, გადაწყვეტილებები და დირექტივები და მათ საფუძველზე ევროგაერთიანების კომისიისა და ევროკავშირის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

„სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები და წესები“ – „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული სანიტარიული წესები, სანიტარიული ნორმები, ჰიგიენური ნორმატივები, სანიტარიული წესები და ნორმები და/ან საქართველოს სანიტარიული კოდექსის 44-ე მუხლის მე2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე დროებით ძალაში დატოვებული (საქართველოში 1992 წლამდე მოქმედი) სანიტარიული წესები, სანიტარიული ნორმები, ჰიგიენური ნორმატივები და სანიტარიული წესები და ნორმები;

„ნარჩენების ტრანსასაზღვრო გადაზიდვა“ – ნარჩენების ექსპორტი, იმპორტი, ტრანზიტი და რეექსპორტი; ნარჩენების ნებისმიერი გადაადგილება ერთი სახელმწიფოს იურისდიქციაში არსებული რაიონიდან სხვა სახელმწიფოს იურისდიქციაში არსებულ რაიონში ან მასზე გავლით, ან იმ რაიონში ან მისი გავლით, რომელიც არ შედის რომელიმე ქვეყნის იურისდიქციაში, იმ პირობით, თუ ამ რაიონში ასეთი გადაზიდვა ეხება არანაკლებ ორი ქვეყნის ინტერესს;

„ბაზელის კონვენცია“ – „სახიფათო ნარჩენების ტრანსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ 1989 წლის

კონვენცია, რომელსაც საქართველო შეურთდა “ქბაზელში 1989 წელს ხელმოწერილი “სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ” კონვენციასთან საქართველოს შეერთების თაობაზე” საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 მაისის №232 ბრძანებულების საფუძველზე;

„ევროგაერთიანების საბჭოს 1993 წლის 1 თებერვლის №259/93/EEC დებულება“ – “ევროგაერთიანების ფარგლებში, ევროგაერთიანებაში და ევროგაერთიანების ფარგლებს გარეთ ნარჩენების გადაზიდვებზე ზედამხედველობისა და კონტროლის შესახებ“ ევროგაერთიანების საბჭოს 1993 წლის 1 თებერვლის №259/93/EEC დებულება;

„ჰუმანური განვითარების ინდექსი (ჰგი)“ – ინტენსიური მაჩვენებელი, რომელიც ასახავს საზოგადოების განვითარების დონეს და ემყარება სამ მაჩვენებელს: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას, ინტელექტუალური განვითარებისა და ცხოვრების დონეს;

„ქიმიური ნივთიერებები“ – ნივთიერებები და მათი ნაერთები ბუნებრივი სახით, ან მიღებული ნებისმიერი ტექნოლოგიური პროცესის შედეგად, პროდუქტის სტაბილურობის შენარჩუნებისათვის საჭირო ნებისმიერ დანამატონ და გამოყენებული ტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებულ ყველა მინარევთან ერთად, გამხსნელის გარდა, რომელიც გამოიყოფა ნივთიერების სტაბილურობისა და შემადგენლობის შეცვლის გარეშე, აგრეთვე ამ ნივთიერებების პრეპარატები;

„პრეპარატები“ – ნარევები ან ხსნარები, რომლებიც შედგება ორი ან მეტი ნივთიერებისაგან;

საქართველოს პოლიტიკა და კანონმდებლობა გარემოს დაცვის სფეროში

საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ამაღლება არ უნდა განხორციელდეს გარემოზე უარყოფითი და შეუქცევადი ზემოქმედების ხარჯზე. სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების აგების დროსაც კი აუცილებელია გარემოს დაცვის გარემოსდაცვითი დონისმიერების გათვალისწინება და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება.

ადამიანთა ჯანსაღ გარემოში ცხოვრების გარანტიას იძლევა საქართველოს კონსტიტუცია (მუხლი-37). ამ უფლების დაცვა გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. შესაბამისი კანონები ასახავენ სახელმწიფოს პოზიციას ამ სფეროში, ითვალისწინებენ რიგი საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნებს და მოიცავენ გარემოს დაცვის დონისმიერებათა მთელ კომპლექსს. ქვემოთ ჩამოთვლილია საქართველოს კანონები და საერთაშორისო კონვენციები,

რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია საკვლევი ობიექტის გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასების ამოცანასთან.

გარემოსდაცვითი კანონები

გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში მიღებულია შემდეგი კანონები:

წელი	სახელმიწოდება
1994	ნიადაგის დაცვის შესახებ (შესწ. 1997, 2002)
1996	დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ (შესწ. 2003, 2004, 2005, 2006, 2007)
1996	ბუნებრივი რესურსების შესახებ
1996	გარემოს დაცვის შესახებ (შესწ. 2000, 2003, 2007)
1997	ცხოველთა სამყაროს შესახებ (შესწ. 2001, 2003, 2004)
1997	ტურიზმის და რეკრეაციის შესახებ
1997	წყლის შესახებ (შესწ. 2003, 2004, 2005, 2006)
1998	სანიტარული დაცვის ზონების და კურორტების შესახებ
1998	საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ (შესწ. 2006, 2007)
1999	ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ (შესწ. 2000, 2007)
1999	ტყის კოდექსი
1999	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ
1999	საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ (შესწ. 2002, 2003)
2000	საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ
2000	ქალაქ თბილისის საზღვრებში და მის მიმდინარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ (შესწ. 2005, 2007)
2003	საქართველოს წითელი ნუსხის და წითელი წიგნის შესახებ (შესწ. 2006)
2005	ლიცენზიების და ნებართვების შესახებ
2006	ნავთობის და გაზის შესახებ

2007	დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ
2007	ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ
2007	გარემოს დაცვის სამსახურის შესახებ
2007	გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ

საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ (1996წ);

კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ (საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) პირებს შორის გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში.

კანონის ძირითადი ამოცანებია:

- დაიცვას და შეინარჩუნოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო;
- სამართლებრივად უზრუნველყოს გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა;
- სამართლებრივად უზრუნველყოს გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება;
- უზრუნველყოს საზოგადოების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ოპტიმალური ურთიორთშეთანაწყობა (პარმონიული შეხამება);
- სამართლებრივად უზრუნველყოს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მართვა გარემოს პოტენციური შესაძლებლობებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.

საქმიანობის დაგეგმვის და განხორციელების დროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპებით.

გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპებია: „რისკის შემცირების პრინციპი“; „მდგრადობის პრინციპი“; „პრიორიტეტულობის პრინციპი“; „ფასიანი ბუნებათსარგებლობის პრინციპი“; „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრინციპი“; „ნარჩენების მინიმიზაციის პრინციპი“; „რეციკლირების პრინციპი“; „რესტიტუციის პრინციპი“; „გარემოზე ზემოქმედების შეფასების პრინციპი“; „გადაწყვეტილების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პრინციპი“; „ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი“.

„გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად საწარმო ვალდებულია:

- აწარმოოს გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული კონტროლი.
- ჰქონდეს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებული ტექნოლოგიური ავარიებისა და ბუნებრივი კატასტროფების შედეგების თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის ოპერატორული და სისტემატიური ღონისძიებების, ავარიის და კატასტროფების დროს მოქმედების გეგმები.

- შექმნას და მზადყოფნაში პყავდეს ავარიის სალიკვიდაციოდ ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფილი სამსახური. ყოველი მოსალოდნელი და მომხდარი ტექნიკური ავარიისა და ბუნებრივი კატასტროფის შესახებ დროულად აცნობოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს და მოსახლეობას.
- უნდა შესრულდეს ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნები. გათვალისწინებული იქნას გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, გარემოს აღდგენის დონისძიებები და მათი განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური საშუალებები.

საქართველოს კანონი „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ (2005წ);

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. იგი აწესრიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს მათი გაცემის, გაუქმების ან მათში ცვლილებების შეტანის წესებს.

ლიცენზიით ან ნებართვით რეგულირების მიზანი და ძირითადი პრინციპებია:

- ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა;
- ადამიანის საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა;
- სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.

კანონით გათვალისწინებულია ლიცენზიის მოპოვების აუცილებლობა 84 დასახელების საქმიანობაზე, რომელთა შორისაცაა: ბაგშვთა კერძო პროცესუალების წარმოება, ბირთვული და რადიაციული მასალების წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობა, ელექტროენერგიის წარმოება, გადაცემა, დისპეტჩერიზაცია და განაწილება, ბუნებრივი გაზის განაწილება და ტრანსპორტირება, ნავთობის გადამუშავება და ტრანსპორტირება, კლინიკური მუშაობის და ალერგიულ სწეულებათა სტაციონალური მკურნალობა, განსაკუთრებით საშიშ ინფექციებზე საქმიანობის განხორციელება, თერაპიული, ქირურგიული და სხვადასხვა მიმართულების სტაციონალური სამედიცინო საქმიანობა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და სხვა.

კანონით გათვალისწინებულია ნებართვის გაცემა განსაზღვრული სახის საქმიანობებზე, რომელთა შორისაცაა: გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

საქართველოს კანონი „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (2007წ.);

ამ კანონით გაუქმებულია ნებართვები ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყლის ამოღებაზე და ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლის ჩაშვებაზე.

საქართველოს კანონი „ეკოლოგიური ექსპერტის შესახებ“ (2007წ.);
ამ კანონით რეგულირდება შემდეგი საკითხები:

- ეკოლოგიური ექსპერტიზა არის გარემოსდაცვითი ხასიათის აუცილებელი ღონისძიება, რომელიც ხორციელდება საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ექვემდებარება სავალდებულო ეკოლოგიურ ექსპერტიზას, განსაზღვრავს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი.
- ეკოლოგიური ექსპერტიზის მიზანია გარემოსდაცვითი მოთხოვნების, რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების უზრუნველყოფა.
- ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა არის აუცილებელი საფუძველი ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელებაზე გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის გასაცემად.
- ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პროცედურას და საექსპერტო კომისიის ფორმირების წესს განსაზღვრავს „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის შესახებ“ დებულება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი.
- ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა არის შესაბამისად გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის შემადგენელი ნაწილი, ხოლო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობა – სანებართვო პირობა, რომლის შესრულება სავალდებულოა გარემოზე ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის მფლობელისათვის.

საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ (2007წ.);
საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“
მიღებულია 2007 წლის 14 დეკემბერს, მისი ამოქმედებისთანავე
ძალადაკარგულად იქნა ცნობილი:

- „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის კანონი (პარლამენტის უწყებანი, 27-28/4, 21 ნოემბერი, 1996, გვ. 5);
- საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 სექტემბრის 154 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 02.09.2005, 104, მუხ. 1161) „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2002 წლის 16 მაისის 59 ბრძანება „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულებისა და მაგისტრალური მილსადენის პროექტების თანდართული ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 24.05.2002, 50, მუხ. 470);
- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 15 ივნისის 139 ბრძანება „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2005 წ., 74, მუხ. 791).

აღნიშნული კანონის რეგულირების სფერო არის ისეთი ორგანიზებული საქმიანობა ან ქმედება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს და სასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით. ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სავალდებულო ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობათა სრულ ნუსხას და მათ განსახორციელებლად გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის, ნებართვის გაცემისას ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მისი ინფორმირების სამართლებრივ საფუძვლებს.

ამ კანონის მიზნები და ამოცანებია:

- საქმიანობის პროცესში ადამიანის ჯანმრთელობის, ბუნებრივი გარემოს, ასევე კულტურული და მატერიალური ფასეულობების დაცვა;
- საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული მოქალაქის ძირითადი უფლების – მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობაზე, აგრეთვე გარემოსდაცვით სფეროში სახელმწიფოს მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში სახელმწიფოსა და საზოგადოების

ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინება.

- საქმიანობაზე ნებართვის გაცემის სფეროში საქმიანობის განხორციელება, საზოგადოების და სახელმწიფოს უფლება-მოვალეობის ჩამოყალიბება და დაცვა;
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან დაცვის, ასევე მათი რაციონალური გამოყენების ხელშეწყობა.

კანონის ძირითადი დებულებებია:

- ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობა არის სანებართვო პირობა.
- ყველა იმ საქმიანობისათვის, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ კანონით, სავალდებულოა გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტის დაცვა.
- ნებართვა გაიცემა მხოლოდ ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.
- გზ-ის პროცედურას და გზ-ის ანგარიშის შინაარსისადმი მოთხოვნებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა და „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულება, რომელსაც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ამტკიცებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი
- მშენებლობის ნებართვის მიღების შემთხვევაში, როგორც მშენებლობის პროცესში, ისე საწარმოს (ობიექტის) ექსპლუატაციისას, დაცული უნდა იქნას ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული სანებართვო პირობები.
- ამ კანონით გათვალისწინებული, ეკოლოგიური ექსპერტიზისადი დაქვემდებარებული საქმიანობები, რომელთა განხორციელებაც დაწყებულია „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებას 2009 წლის 1 იანვრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის (პროგრამის შესაბამისად). ამ შემთხვევაში ნებართვის მისაღებად წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა ასახავდეს როგორც გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს (ეკოლოგიურ აუდიტს), ისე მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელ ღონისძიებათა გეგმას.

საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“ (1997წ.);

კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის წყლის დაცვის, შესწავლისა და გამოყენების სფეროში.

კანონის მიზანს წარმოადგენს:

- უზრუნველყოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში;
- წყლის ობიექტების დაცვა და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება;
- სუფთა სასმელ წყალზე მოსახლეობის მოთხოვნილების პირველ რიგში დაკმაყოფილება;
- ფიზიკური ან იურიდიული პირების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა წყლის გამოყენებისა და დაცვის სფეროში.

საქართველოს კანონით „წყლის შესახებ“ საწარმო ვალდებულია:

- მიწისქვეშა წყლების უკელა წყალმიმღები უნდა აღიჭურვოს მოწყობილობებით წყლის რეჟიმზე სისტემატიური დაკვირვებისათვის და წყალმზომებით - ექსპლუატაციის პროცესში წყლის დებუტის დასადგენად;
- უზრუნველყოს წყლის რაციონალური გამოყენება და იზრუნოს მისი ხარისხის შესანარჩუნებლად და აღსადგენად;
- წესრიგში იქონიოს გამწმენდი და სხვა ნაგებობები, ტექნიკური მოწყობილობები, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე, გააუმჯობესოს მათი საექსპლუატაციო ხარისხი;
- აწარმოოს წყალსარგებლობის აღრიცხვა კანონით დადგენილი წესით;
- კანონის 84 მუხლის მიხედით, წყალმოსარგებლე ვალდებულია დაამუშაოს წყლის ობიექტში ნივთიერებათა ემისის ზღვრულად დასაშვები ნორმები. წყლის ობიექტში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმატივები დგინდება დაბინძურების ყოველი კონკრეტული წყაროსათვის მისი ტექნოლოგიური თავისებურებებისა და აღგილმდებარეობის ფონური გაბინძურების გათვალისწინებით იმგვარად რომ ემისიური ნივთიერებების და მიკროორგანიზმების კონცენტრაციამ ადგილზე არ გადააჭარბოს ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის დონეს.

ნორმატივების დადგენა აუცილებელია მოქმედი, საპროექტო, მშენებარე და სარეკონსტრუქციო ობიექტებისათვის (საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად), რომლებიც აწარმოებენ წყლის ობიექტში სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, საწარმოო, სადრენაჟო და სანიაღვრე ჩამდინარე წყლების, აგრეთვე სამელიორაციო სისტემების ნარჩენი წყლების ჩაშვებას.

საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაცვის შესახებ“ (1999წ.);
კანონი არეგულირებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაცვის დაცვას მავნე ანთროპოგენური ზემოქმედებისაგან.

კანონის ძირითადი ამოცანებია:

- უზრუნველყოს ატმოსფერული ჰაცვის ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის უსაფრთხო მდგომარეობის მიღწევა, შენარჩუნება და გაუმჯობესება;
- სამართლებრივად უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაცვში მავნე ნივთიერებების გაფრქვევათა რეგულირება.

საქართველოს კანონით „ატმოსფერული ჰაცვის დაცვის შესახებ“ საწარმო ვალდებულია:

- უზრუნველყოს სტაციონალური წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სწორი თვითმონიტორინგის წარმოება;
- უზრუნველყოს საწარმოო ტექნოლოგიის აირგამწმენდი მოწყობილობებით აღჭურვა და დაიცვას მისი ექსპლუატაციის წესები;
- შეადგინოს გამწმენდი მოწყობილობების პასპორტები;
- შეადგინოს გარემოში მავნე ნივთიერებათა წყაროების ინვენტარიზაციის ანგარიში;
- დაამუშაოს ინვენტარიზაციის საფუძველზე დადგენილი წყაროებიდან გარემოში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ზღვრულად დასაშვები ნორმატივების პროექტი და ლიმიტი.

საქართველოს კანონი „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ (1998წ.);

კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის საშიში ქიმიური ნივთიერებების შექმნის, გამოცდისა და სახელმწიფო ექსპერტიზის, სტანდარტიზაციის, აღრიცხვისა და რეგისტრაციის, წარმოების, შეფუთვის, ნიშანდების და ეტიკეტირების, ტრანსპორტირების, მოხმარების, ექსპორტისა და იმპორტის, გადამუშავების, გაუვნებელყოფის, განთავსების, შეზღუდვის, აკრძალვის და გამოყენებიდან ამოღების სფეროში, აგრეთვე მათზე სახელმწიფო და საუწყებო და საუწყებო ზედამხედველობის წესებს.

საქართველოს კანონი „საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ“ (1997წ.);

კანონი ადგენს საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების სამართლებრივ საფუძვლებს, არეგულირებს ამ სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ურთიერთობას ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობისა და საელთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნებს უსაფრთხოების სფეროში. მისი ძირითადი მიზანია შრომითი ურთიერთობის პროცესში მშრომელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის უზრუნველყოფა.

**საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“ (1994წ.);
კანონის მიზნებია:**

- უზრუნველყოს ნიადაგის საფარის მთლიანობა, ნაყოფიერების ზრდა და შენარჩუნება;
- განსაზღვროს მიწათმოსარგებლეთა, მიწათმესაკუთრეთა და სახელმწიფოს მოვალეობა და პასუხისმგებლობა ნიადაგის დაცვისა და გაოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების პირობების შესაქმნელად;
- ადგვეთოს ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის საშუალებათა გამოყენებისას უარყოფითი შედეგები.

საქართველოს კანონი „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“ (1994წ.);

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვა საერთო საზოგადოებრივი და სახელმწიფო საქმეა. მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა ადამიანის ჯანმრთელობაზე, ცოცხალ ორგანიზმებზე, წყალზე, ატმოსფერულ ჰაერზე, ნიადაგზე, მთლიანად სიცოცხლის ბალანსზე მცენარეთა დაცვის საშუალებების უარყოფითი გავლენის თავიდან აცილება, აგრეთვე მოსახლეობის უზრუნველყოფა სურსათით.

საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“ (1996წ.);

კანონის მიზანია უზრუნველყოს წიაღისა და სასარგებლო წიაღისეულის რესურსების რაციონალური გამოყენება, ბუნებრივი კანონზომიერებისა და გარემოს პოტენციური შესაძლებლობების დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.

საქართველოს კანონით „წიაღის შესახებ“ საწარმო ვალდებულია:

- აიღოს შესაბამისი წიაღით სარგებლობის ლიცენზია.
- ისარგებლოს წიაღით მხოლოდ ლიცენზიით განსაზღვრული მიზნებისათვის.
- უზრუნველყოს წიაღისეული რესურსების რაციონალური და კომპლექსური გამოყენება, გარემოს და წიაღის დაცვა.
- შეისწავლოს წიაღი კომპლექსურად, უზრუნველყოს შესაბამისი გეოლოგიური, სამარგენიდერო და სხვა დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა.
- ლიცენზიას გასცემს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

საქართველოს კანონი „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ (1995წ.);

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე აკრძალულია:

- ტოქსიკური და რადიოაქტიური სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტრანზიტი და იმპორტი, მათი საქართველოში უტილიზაციის, გაუვნებელყოფის, გადამუშავების, დამარხვის ან ნებისმიერი სხვა მიზნით.
- სხვა სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების იმპორტი მათი გაუვნებელყოფის, დამარხვის ან დაწვის მიზნით.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების იმპორტი დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილებენ საქართველოს რესპუბლიკისა და ექსპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ (1996წ.);

საქართველოს სახმელეთო ტერიტორიის, საპარაზიტო სივრცის, ტერიტორიული წყლების, კონტინენტური შეღწევისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ფარგლებში არსებული ცხოველთა სამყარო საქართველოს ეროვნული სიმდიდრეა და მას სახელმწიფო იცავს.

კანონის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს ცხოველთა სამყაროს, მისი საბინადრო გარემოს დაცვა და აღდგენა, სახეობრივი მრავალფეროვნების და გენეტიკური რესურსების შენარჩუნება, მდგრადობა და მდგრადი განვითარებისათვის პირობების შექმნა, დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით.

საქართველოს კანონი „საშიში ნივთიერებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ“ (1999წ.);

კანონის მიზანია პასუხისმგებელი პირის ბრალის არსებობის მიუხედავად გარემოზე საშიში ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, გარემოს, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ობიექტების, ქონებისა და ეკონომიკური ინტერესებისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის უზრუნველყოფა.

საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ (1996წ.);

დაცული ტერიტორიები საქართველოში იქმნება უმნიშვნელოვანები ეროვნული მემკვიდრეობის – უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად, მათი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული და ბუნებრივი რესურსების დამზოგავი მეურნეობების განვითარების მიზნით გამოყენების უზრუნველსაყოფად.

ლიცენზიებისა და ნებართვების მიღების პროცედურა:

„ლიცენზიონებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის III კარის IV თავის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ნებართვის ერთ-ერთი სახეა

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს კანონის „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ მიხედვით.

საკანონმდებლო მოთხოვნათა შესაბამისად, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობა არის სანებართვო პირობა.

ყველა იმ საქმიანობისათვის, რომელიც არ არის გათვალისწინებული მითითებულ (ამ კანონის შესაბამისად) ჩამონათვალში – საგალდებულოა გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დაცვა, რომელიც მტკიცდება „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

- „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვის წესს:
- გ.ზ.შ. არის დაგეგმილ საქმიანობაზე დასაბუთებული დოკუმენტაციის შექმნისა და ამ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესებში გარემოზე ყოველგვარი მოსალოდნელი ზემოქმედების წყაროს ხასიათისა და ხარისხის განსაზღვრა, აგრეთვე დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასება. გზშ-ის პროცედურას და გზშ-ის ანგარიშის შინაარსისადმი მოთხოვნებს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა და „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულება, რომელსაც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი.
- ნებართვის მისაღებად წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა ასახავდეს როგორც გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს (ეკოლოგიურ აუდიტს), ისე მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელ ლონისძიებათა გეგმას.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოთმითითებულ საქმიანობათა განხორციელება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, მასზე სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაიცემა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (ნებართვის გაცემის თაობაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს). სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს კანონით „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ გათვალისწინებული, ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობები, რომელთა განხორციელებაც დაწყებულია „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედის ნებართვის აღებას 2009 წლის 1 იანვრამდე გარნემოს დაცვისა

და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის (პროგრამის შესაბამისად). ამ შემთხვევაში ნებართვის მისაღებად წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა ასახავდეს როგორც გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს (ეკოლოგიურ აუდიტს), ისე მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელ დონისძიებატა გეგმას.

ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადის ათვლა იწყება ნებართვის მაძიებლის მიერ მითითებული დოკუმენტაციის სრულად წარდგენის დღიდან და მოიცავს 20 დღეს.

გარემოს დაცვის სტანდარტები და ნორმატიული აქტები

საქართველოში გამოიყენება გარემოს დაცვის სფეროში, სტანდარტების კომპლექსი. გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები აღგენენ მოთხოვნებს გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობისადმი და განსაზღვრავენ ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს წყალში, ჰაერსა და ნიადაგში.

წყალსატევში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების (ზდკ) სიდიდეები რეგლამენტირებულია. მათ საფუძველზე შესაძლებელია მავნე ნივთიერებების წყალში ჩაშვების (ემისიის) ზღვრულად დასაშვები ნორმების დადგენა.

„საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის წესები“ დამტკიცებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მიერ 17.09.96წ. №130 ბრძანებით. ჩაშვება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩასაშვები წყალი არ გამოიწვევს წყალსატევში დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველობის გაზრდას დადგენილი ნორმების ზევით და წყლის მომხმარებელი უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების გაწმენდას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ დონემდე. წყლის ხარისხზე საქართველოში შემუშავებული სტანდარტები მთლიანობაში შეესაბამება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) რეკომენდაციებს.

ჰაერის ხარისხის სტანდარტები დაფუძნებულია საქართველოს კანონზე „ატმოსფერული ჰაერის შესახებ“. აქროლადი ნივთიერებების ზდკ ჰაერში დადგენილია 0,5 და 24 საათის საშუალო სიდიდეების მიხედვით და ეფუძნება ქიმიური ნივთიერებების იმ კონცენტრაციას, რომელიც არ ახდენს ზეგავლენას ადამიანის რეფლექტორულ სუნთქვით აქტივობაზე.

გარემოსდაცვითი სტანდარტები ადგენენ გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის მოთხოვნებს და განსაზღვრავენ წყალში, ჰაერსა და ნიადაგში ადამიანის ჯანმრთელობისთვის და გარემოსთვის სახიფათო ნივთიერებების მაქსიმალურ დასაშვებ კონცენტრაციებს (გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის

შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №297/6 ბრძანება).

საქართველოში მოქმედი ნიადაგის ხარისხის მახასიათებელი სიდიდები

ცხრილი 1

კომპონენტი	ერთეული	სიდიდე
ლითონები და სხვადასხვა		
ბორი	გგ/კგ	-
დარიშხანი	გგ/კგ	2-10*
კადმიუმი	გგ/კგ	2*
სპილენდი	გგ/კგ	3-132*
ვერცხლისწყალი	გგ/კგ	2.1
ნიკელი	გგ/კგ	4-80*
ტყვია	გგ/კგ	32-130*
სელენი	გგ/კგ	-
ცინკი	გგ/კგ	23-220*
ჯამური ნახშირწყალბადები	გგ/კგ	0.1
ფენოლები (ჯამური)	გგ/კგ	-
ციანიდი	გგ/კგ	-
სულფატი	გგ/კგ	-
ქლორიდი	გგ/კგ	-
ამონიუმის აზოტი	გგ/კგ	-
აქროლადი ორგანული ნაერთები	გგ/კგ	-
ბენზოლი	გგ/კგ	0.3
ტოლუოლი	გგ/კგ	0.3
ეთილბენზოლი	გგ/კგ	-
ჯამური ქსილოლი	გგ/კგ	0.3
ნახევრად აქროლადი ნაერთები		
ბენზოაპირუნი	გგ/კგ	0.02-0.2

იზოპროპილენბენზოლი	მგ/კგ	0.5
კესტიციდები		
ატრაზინი	მგ/კგ	0.01-0.5
ლინდანი	მგ/კგ	0.1
DDT (და მისი მეტაბოლიტი)	მგ/კგ	0.1

ინფორმაციის წყარო: მეთოდური მითითებები ნიაღავის ქინიური ნივთიერებებით დაბინძურების საშიშროების ხარისხის შესახებ (MI 2.1.7.004-02), დამტიცვებული საქართველოს შრონის, ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, 2003

* ნატრიუმიანი და ნეიტრალური (თიხა და თიხნარი) $pH > 5.5$

- სკრინინგის სიღრიფე არ არსებობს

მიწისქვეშა წყლის ხარისხის სტანდარტები საქართველოს კანონმდებლობით არ განისაზღვრება. მიწისქვეშა წყლის ხარისხი რეგულირდება სასმელი წყლისთვის დაწესებული ნორმებით.

სასმელი წყლის სტანდარტები

ცხრილი 2

კომპონენტი	ერთეული	სისიდე
ლითონები და სხვადასხვა		
ბორი	მგ/ლ	0.5
დარიშხანი	მგ/ლ	0.01
კალიუმი	მგ/ლ	0.003
ქრომი	მგ/ლ	-
სპილენდი	მგ/ლ	2
ვერცხლისწყალი	მგ/ლ	0.006
ნიკელი	მგ/ლ	0.07
ტყვია	მგ/ლ	0.01
სელენი	მგ/ლ	0.01
ცინკი	მგ/ლ	3
ჯამური ნახშირწყალბადები	მგ/ლ	0.1
ფენოლები (ჯამური)	მგ/ლ	-
ციანიდი	მგ/ლ	0.07
სულფატი	მგ/ლ	250
ქლორიდი	მგ/ლ	250

ამონიუმის აზოტი	მგ/ლ	-
pH	pH სიდიდე	6-9
ჟბზ	მგ/ლ	-
ჟქბ	მგ/ლ	-
TOC	მგ/ლ	-
ნატრიუმი	მგ/ლ	200
ელგამტარობა	S/sm	-
აქროლადი ნაერთები	ორგანული	
ბენზოლი	მგ/ლ	-
ტოლუოლი	მგ/ლ	-
ეთილბენზოლი	მგ/ლ	-
ჯამური ქსილოლი	მგ/ლ	-
ნახევრად აქროლადი ნაერთები	მგ/ლ	
ბენზოაპირენი	მგ/ლ	
იზოპროპილენბენზოლი	მგ/ლ	
პესტიციდები		
ატრაზინი	მგ/ლ	
ლინდანი	მგ/ლ	
DDT (და მისი მეტაბოლიტი)	მგ/ლ	
ტრიაზინე	მგ/ლ	
TBC	მგ/ლ	

ინფორმაციის წყარო: შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება (№349/6), სასმელი წყლისთვის ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების შესახებ (17.12.2007)

საქართველოში მოქმედი პარას სარისხის სტანდარტები

ცხრილი 3

ნივთიერება	მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაცია (MPC), მგ/მ3
	აქსიმალური ერთჯერადი საშუალო დღიური

ასბესტშემცველი მტკერი	0	0.06
არაორგანული მტკერი		
სილიციუმის დიოქსიდი >70%	0.15	0.05
სილიციუმის დიოქსიდი 70%-20%	0.3	0.1
სილიციუმის დიოქსიდი <20%	0.5	0.15
ნახშირჯანგი	-	0.0004
აზოტის ოქსიდები	0.4	0.06
აზოტის დიოქსიდი	0.085	0.04
გოგირდის დიოქსიდი	0.5	0.05

შენიშვნა: მაქსიმალური ერთჯერადი ზღვარი გულისხმობს მყისიერ კონცენტრაციას, რომელიც არ უნდა იყოს გადაჭარბებული.

სახიფათო ნივთიერებების ემისიის/ჩაშვების (წყალში, ჰაერში, ნიადაგის გარემოში) კვოტები განსაზღვრავს დაბინძურების ყველა წყაროსთვის ემისიის/ჩაშვების მაქსიმალურ დასაშვებ სიდიდეებს. ნივთიერებების ჩამონათვალი მოცემულია გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დამტკიცებული (№139, 25.11.1997) სტაციონარული დაბინძურების წყაროებიდან გაფრქვეული სახიფათო ნივთიერებების საშიშროების კოეფიციენტის დამტკიცების შესახებ დებულების შესაბამისად.

წყლის ობიექტებში სახიფათო ნივთიერებების მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციების კვოტები (MPC) განისაზღვრება საქართველოს კანონით წყლის შესახებ. მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციები განისაზღვრება კონკრეტული ობიექტისთვის ინდივიდუალურად. საქართველოში მოქმედი წყლის ხარისხის სტანდარტები შეესაბამება ISO რეკომენდაციებს.

ქვემოთ, ზოგადი ინფორმირების მიზნით მოყვანილია უცხოეთის განვითარებული ქვეყნების შესაბამისი სტანდარტები და ნორმები:

ევროპაგშირის სასმელი წყლის ხარისხის სტანდარტები

ცხრილი 4

კომპონენტი	ერთეული	EU DWS	EQS
მეტალები და სხვადასხვა			
ბორი	მგ/ლ	1	2

დარიშხანი	გვ/ლ	0.01	0.05
კადმიუმი	გვ/ლ	0.005	0.005
ქრომი	გვ/ლ	0.05	0.25
სპილენდი	გვ/ლ	2	0.112
ვერცხლისწყალი	გვ/ლ	0.001	0.001
ნიკელი	გვ/ლ	0.02	0.2
ტყვია	გვ/ლ	0.01	0.25
სელენი	გვ/ლ	0.01	-
ცინკი	გვ/ლ	-	2
საერთო ნახშირწყალბადები	გვ/ლ	-	-
ფენოლები (საერთო)	გვ/ლ	-	-
ციანიდი	გვ/ლ	0.05	-
სულფატი	გვ/ლ	250	-
ქლორიდი	გვ/ლ	250	-
ამონიუმის აზოტი	გვ/ლ	0.5	-
pH	pH გროველი	6.5-9.5	6-9
ჟბა	გვ/ლ	-	-
ჟქბ	გვ/ლ	-	-
TOC	გვ/ლ	-	-
ნატრიუმი	გვ/ლ	200	-
ელგამბარობა	s/sm	0.0025	-
აქროლადი ორგანული ნაერთები			
ბენზოლი	გვ/ლ	0.001	0.03
ტოლუოლი	გვ/ლ	-	0.05
ეთილბენზოლი	გვ/ლ	-	-
ჯამური ქსილოლი	გვ/ლ	-	0.03

ნახევრადაქროლადი ნაერთები			
ბენზოაპირენი	მგ/ლ	0.00001	-
იზოპროპილენბენზოლი	მგ/ლ	-	-
პესტიციდები			
ატრაზინი	მგ/ლ	-	0.002*
ლინდანი	მგ/ლ	-	-
DDT (და მისი მეტაბოლიტი)	მგ/ლ	-	-
ტრიაზინები			

ნიადაგი

ეკროკავშირს არ გააჩნია ნიადაგის ხარისხისათვის შემუშავებული სპეციალური რეკომენდაციები. მოცემულ ანგარიშში შედარებისთვის გამოყენებულია გაერთიანებული სამეფოს ნიადაგის ხარისხის რეკომენდებული მაჩვენებლები (SGV) ინდუსტრიული ობიექტებისთვის. მოცემულ ცხრილში მოყვენილია ზოგიერთი კომპონენტის SGV მნიშვნელობები.

გაერთიანებული სამეფოში რეკომენდებული მაჩვენებლები (SGV)

ცხრილი 5

კომპონენტი	ერთეული	UK SGV (საწარმოო)
ლითონები და სხვადასხვა		
ბორი	მგ/კგ	900
დარიშხანი	მგ/კგ	500
კადმიუმი	მგ/კგ	1400
სპილენდი	მგ/კგ	55000
ვერცხლისწყალი	მგ/კგ	480
ნიკელი	მგ/კგ	5000
ტყვია	მგ/კგ	750

სელენი	მგ/კგ	8000
ცინკი	მგ/კგ	-
ჯამური ნახშირწყალბადები	მგ/კგ	-
ფენოლები (ჯამური)	მგ/კგ	21900* ²
ციანიდი	მგ/კგ	-
სულფატი	მგ/კგ	-
ქლორიდი	მგ/კგ	-
ამონიუმის აზოტი	მგ/კგ	-
აქროლადი ორგანული ნაერთები		
ბენზოლი	მგ/კგ	-
ტოლუოლი	მგ/კგ	150
ეთილბენზოლი	მგ/კგ	48000
ჯამური ქსილოლი	მგ/კგ	-
ნახევრადაქროლადი ნაერთები		
ბენზოაპირენი	მგ/კგ	30
იზოპროპილბენზოლი	მგ/კგ	-
პესტიციდები		
ატრაზინი	მგ/კგ	-
ლინდანი	მგ/კგ	-
DDT (და მისი მეტაბოლიტი)	მგ/კგ	-
ტრაიზინები		

პარი

ეგროგაგშირის ნაციონალური პარის ხარისხის “სამიზნე” სიდიდეები მოცემულია ცხრილში. ეს ზღვრული სიდიდეებია, რომლებიც საგალდებულოა და არ უნდა იქნენ გადაჭარბებული. მალიმიტირებელი სიდიდეები განსაზღვრულია ინდივიდუალური დამაბინძურებლისთვის და მოცავს კონცენტრაციის მნიშვნელობას, გასაშუალოებულ დროს, რომლის

განმავლობაშიც მოხდება გაზომვა, გადაჭარბების დაშვებული რაოდენობას წელიწადში, არსებობის შემთხვევაში, და ამ სიდიდის მიღწევის თარიღს.

ეგროგაშირის პაერის ხარისხის სამიზნე მნიშვნელობები

ცხრილი 6

დამაბინძურებელი მიღწევის	გრცელდება	მიზანი	იზომება როგორც	თარიღი
ნაციონალური პაერის ხარისხის სამიზნე სიდიდეები ჯანმრთელობის დაცვისთვის				
ბენელი	EU	5 $\mu\text{g}/\text{m}^3$	მიმდინარე წლიური საშუალო	01.01.2010
ნახშირჟანგი	EU	10 $\mu\text{g}/\text{m}^3$	მაქს.დღიური მიმდევრობითი 8 საათის საშუალო	01.01.2005
ტყვია	EU	0.5 $\mu\text{g}/\text{m}^3$	საშ.წლიური	01.01.2005
აზოტის დიოქსიდი	EU	200 $\mu\text{g}/\text{m}^3$ - არ უნდა იყოს გადაჭარბებული 18 ზე მეტჯერ წლის განმავლობაში	1 სთ საშუალო	01.01.2010
	EU	40 $\mu\text{g}/\text{m}^3$	საშ.წლიური	01.01.2010
ოზონი	EU	120 $\mu\text{g}/\text{m}^3$ არ უნდა იყოს გადაჭარბებული 25 -ზე მეტჯერ წელიწადში საშუალოდ 3 წლის განმავლობაში	8 სთ საშუალო	31.12.2010
გზერი (PM10)**	EU	50 $\mu\text{g}/\text{m}^3$ - არ უნდა იყოს გადაჭარბებული 35-ზე მეტჯერ წელიწადში	24სთ საშუალო	01.01.2005
	EU	40 $\mu\text{g}/\text{m}^3$	საშ. წლიური	01.01.2005
გოგირდის დიოქსიდი	EU	350 $\mu\text{g}/\text{m}^3$ - არ უნდა იყოს გადაჭარბებული	1 სთ საშუალო	01.01.2005

		24-ზე მეტჯერ წელიწადში		
	EU	125 $\mu\text{g}/\text{m}^3$ არ უნდა იყოს გადაჭარბებული 3-ზე მეტჯერ წელიწადში	24 სთ საშუალო	01.01.2005
ჰაერის ნაციონალური მიზნები - მცენარეული საფარის და ეკოსისტემების დასაცავად				
აზოვის ოქსიდები	EU	30 $\mu\text{g}/\text{m}^3$	წლიური საშ.	01.01.2010
გოგირდის დიოქსიდი	EU	20 $\mu\text{g}/\text{m}^3$	ზამთრის საშ.	19.07.2001*
	EU	სამიზნე სიღიდე 18,000 $\mu\text{g}/\text{m}^3$ AOT40-ს საფუძველზე - უნდა განისაზღვროს 1 სთ მონაცემების საფუძველზე მაისიდან ივლისამდე. უნდა იქნას მიღწეული 2010 წლისთვის	საშუალო 5 წლის განმავლობაში	19.07.2001*
ოზონი: მცენარეულობის და ეკოსისტემების დაცვა	EU	სამიზნე სიღიდე 18,000 $\mu\text{g}/\text{m}^3$ AOT40-ს საფუძველზე - უნდა განისაზღვროს 1 სთ მონაცემების საფუძველზე მაისიდან ივლისამდე. უნდა იქნას მიღწეული 2010 წლისთვის	საშუალო 5 წლის განმავლობაში	01.01.2010
შენიშვნები: $\mu\text{g}/\text{m}^3$ - მიკროგრამი კუბურ მეტრზე kg/m^3 - მილიგრამი კუბურ მეტრზე * შესაბამისად 1b ³ შეილობილი დირექტივა ** 2.5 შემცირების სამიზნე სიღიდის 25 $\mu\text{g}/\text{m}^3$ 2010 წლისთვის ჯერ მოღაბარადების				

**მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საწარმოში არსებული
გარემოსდაცვითი დოკუმენტაცია**

ცხრილი 7

დოკუმენტი	რა საკანონმდებ- ლო/ნორმატიული აქტის საფუძ- ველზე უნდა იყოს შედგენი- ლი/წარმოებული	
- ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმატივები	საქართველოს კანონი „წყლის შესახებ”, 16.10.1997, (მუხლი 84), გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 1996 წ. 12 აგვისტოს №105 ბრძანებით დამტკიცებული “წყალსატევში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმატივების გაანგარიშების მეთოდიკა”	ზ.დ.ჩ.-ის ნორმატივები შემუშავებულია, დამტკიცებულია და შეთანხმებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან (№06- 02/17-29, 12.12.08წ.).
- წყლის გამოყენების პირველადი აღრიცხვის ჟურნალების წარმოება	საქართველოს კანონი „წყლის შესახებ”, 16.10.1997, (მუხლი 76), გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 1998 წ. 07 მაისს №65 ბრძანებით დამტკიცებული „წყლის გამოყენების პირველადი აღრიცხვის ფორმები და მათი წარმოების წესი”	წყლის გამოყენების პირველადი აღრიცხვა წარმოებს დამტკიცებული ფორმის ჟურნალების მიხედვით
- წყლის გამოყენების სახელმწიფო	საქართველოს კანონი „წყლის შესახებ”, 16.10.1997, ეკონომიკის განვითარების სამინისტროს სტატისტიკის სახელმწიფო	სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები უკელვლიურად წარედგინება გარემოს

სტატისტიკური აღრიცხვა	დეპარტამენტის 2004 წ. 03 ნოემბრის №63-ს ბრძანება	დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს
-----------------------	---	---

ზოგადი ინფორმაცია გამწმენდი ნაგებობის შესახებ

- **ადგილმდებარეობა**

ქქ. თბილისი-რუსთავის რეგიონული გამწმენდი ნაგებობა მდებარეობს ქვემო-ქართლის რეგიონში, გარდაბნის რაიონში, სოფ. ქვემო კაპანახის სიახლოვეს, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, უკავია 90 ჰა ფართობი.

- **საპროექტო პარამეტრები**

გამწმენდი ნაგებობა დაპროექტებულია ქალაქების: თბილისის, რუსთავის, მარნეულის, გარდაბნის და მცხეთის, აგრეთვე დუშეთის რაიონის რიგი დასახლებული პუნქტების ჩამდინარე წყლების მიღებისა და გაწმენდისათვის.

გამწმენდი ნაგებობის საპროექტო სიმძლავრე გაანგარიშებული 1500 ათას მოსახლეზე, მათ შორის

- ქ. თბილისი – 1280 ათასი მოსახლე,

- ქ. რუსთავი – 150 ათასი მოსახლე,

- ქ. მარნეული – 20 ათასი მოსახლე,

- ქ. გარდაბნი – 20 ათასი მოსახლე,

- ქ. მცხეთა და დუშეთის რაიონი – 30 ათასი მოსახლე.

გამწმენდი ნაგებობის საპროექტო სიმძლავრეა – 1 მლნ.კუბ.მ/დღედამეში ჩამდინარე წყალი (ბიოლოგიური გაწმენდა).

- **გამწმენდი ნაგებობის სტრუქტურა**

პროექტის მიხედვით გამწმენდი ნაგებობის შემადგენლობაში შედიან შემდეგი ძითადი კვანძები:

- მიმღებ-გამანაწილებელი კამერა – რომელიც აღჭურვილია ლითონის შიგერებით და ამწე მექანიზმებით;

– გისოსების ორსექციანი შენობა – პირველ სექციაში განლაგებულია გო-სოსები და სამსხვრეველა, მეორეში კი – მექანიკური გაწმენდის საამქროს სა-კონტროლო დაფა, ტრანსფორმატორები, საყოფაცხოვრებო სათავსოები და სა-ტუმბი დანადგარები (მიწისქვეშა ნაწილში);

– აერიორებული ქვიშდამჭერები (6 ცალი), თითოეულის სიგრძეა - 24მ, სი-განე - 6მ, სიღრმე - 5,9მ. ქვიშდამჭერების საერთო სამუშაო მოცულობა 4061 მ³-ს შეადგენს;

– პირველადი რადიალური სალექარები (10 ცალი) – რეინაბეტონის ტევა-დობები 50 მ დიამეტრით და საერთო გამტარუნარიანობით 5989 მ³/სთ;

– ნედლი ლამის სატუმბი სადგურები (3 სადგური). თითოეულ სადგურში დამონტაჟებულია ნედლი ლამის ტუმბოები, მოტივტივე მინარევების ამოტუმბვის ტუმბოები, სალექარების დასაცლელი ტუმბოები, სადრენაჟე წყლების ტუმბოები;

– აეროტენკები (10 ცალი) – ოთხდერეფნიანები, ლამის გამყოფი რეგენერა-ციისათვის სპეციალურად გამოყოფილ სექციებში. ორი სარეგენერაციო სექციის კოქნსტრუქცია უზრუნველყოფს მათ აეროტენკებად გამოყენებას, რაც შესაბამი-სად საშუალებას გვაძლებს ვცვალოთ რეგენერაციისათვის გამოყოფილი მოცუ-ლობა საჭიროების შემთხვევაში.

აეროტენკების წარმადობა გაანგარიშებულია ბიოლოგიური გაწმენდის სა-ბოლოო ეფექტზე ჟბმ₅-ის მიხედვით – 8 მგ/ლ-მდე.

აეროტენკების პარამეტრებია:

- სიგანე – 42 მ,
- სიგრძე – 138,4 მ,
- სიღრმე – 6 მ,
- მოცულობა – 34877 მ³,
- ჰაერის საერთო ხარჯი – 5300000 მ³/დღ.

– ჰაერშემბერი სადგური – შენობაში დამონტაჟებულია მოწყობილობა, რო-მელიც უზრუნველყოფს ბიოლოგიური საფეხურის მუშაობას, აგრეთვე საერთო დანიშნულების სატუმბი სისტემები.

- მეთანტენკები (6 ცალი). თითოეულის დიამეტრია – 23 მ, მოცულობა – 7500 მ³. მეთანტენკები გამოიყენება პირველად სალექარებში წარმოქმნილი ნალექისა და ჭარბი აქტიური ლამის გადასამუშავებლად.
- მეორადი რადიალური სალექრები (10 ცალი) – რკინაბეტონის ტევადობები. თითოეულში დამონტაჟებულია გამანაწილებელი ჯამი, ლამის კამერები და ტექნოლოგიური მილსადენები;
- სალამე მოედნები – მოწყობილია ასფალტობეტონის ფუძეზე ხელოვნური დრენაჟით და გარემოცულია მიწის ნაყარით. სადრენაჟე წყლები გროვდება ფერალური სითხის სატუმბ სადგურში და გადაიტუმბება აეროტენკში გამანაწილებელ კამერაში. აშენებული სალამე მოედნების საერთო ფართობია 20 ჰა;
- ქვიშის მოედნები – მოწყობილია ასფალტობეტონის ფუძეზე, ხელოვნური დრენაჟით და გარემოცულია მიწის ნაყარით. სადრენაჟე წყლები გროვდება ფერალურ სატუმბ სადგურში და გადაიტუმბება აეროტენკის გამანაწილებელ კამერაში.

გამწმენდი ნაგებობის მუშაობის ტექნოლოგიური რეჟიმი

გისოსები

გისოსები წამოადგენენ წინასწარ ნაგებობას, ჩამდირე წყლების შემდგომი გაწმენდისათვის მოსამზადებლად. გისოსებმა უნდა უზრუნველყონ მსხვილი საგნების და ჭუჭყის დაკავება (ჩვარეულის, ქაღალდების, პოლიეტილენის ბოთლების, ბოსტნეულის ნაწილაკების და სხვა) ჩამდინარე წყლების შემცველობაში.

ჩამდინარე წყლების სიჩქარე გისოსების **დეროებს შორის** მიღებულია 0.8-1.0 მ/წმ, მიმყვან არხში კი 0.75-0.8 მ/წმ-ში.

გისოსების მოვლა ძირითადად გულისხმობს მათ რეგულარულ და დროულ გაწმენდას ნარჩენებისაგან, ყურადღება უნდა ექცეოდეს გისოსების ჭვრიტეების მდგომარეობას, რომ არ იქნეს დაშვებული მათი დანაგვიანება და წყლის

შეტბორვა (წყლის დონის სხვაობა გისოსების წინ და მათ უკან). ამ მიზნით მორიგე მუშა დღის განმავლობაში, თანახმად საამქროს უფროსის მიერ შედგენილი და დამტკიცებული გრაფიკისა, რთავს მექანიკურ ფოცხს. გისოსების მიერ დაკავებული ნარჩენები ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით იყრება მის ქვეშ დადგმულ სანაგვა ყუთში, რომლის გავსების შემდეგ ხიდური ამწის მეშვეობით იყრება განმტკირთავ ბუნკერში, რომელიც გროვდება საამქროს გარეთ და ბულდოზერის საშუალებით გაიტანება ნაგავსაყრელზე.

ქვიშდამჭერი

ქვიშდამჭერები ემსახურებიან ჩამდინარე წყლებიდან ქვიშისა და სხვა მინერალურ მინაერთებიდან 0.25 მმ-ზე მეტი სიდიდის 85-90%-ზე მსხვილი ფრაქციების დაკავებას. ქვიშდამჭერების ნორმალური მუშაობა მიიღწევა ჩამდინარე წყლების 0.15-0.3 მ/წმ-ში მოძრაობის სიჩქარისას. აერაციის ინტენსიურობა ტოლია $3.0\text{m}^3/\text{m}^2\text{s}$. ქვიშდამჭერებში ჩამდინარე წყლების სიჩქარის შემცირება იწვევს ორგანული ნივთიერებების დაგროვებას, რომლებიც ქვიშსაყრელ მოედნებზე მოხვედრის შემდეგ ლპებიან (იხრწებიან) და აუარესებენ მის სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას, ხოლო ქვიშდამჭერიდან ქვიშის გამოსვლა იწვევს მის დალექვას პირველად სალექრებში.

ქვიშდამჭერების ექსპლუატაციის დროს მომსახურე პერსონალი ვალდებულია აკონტროლოს ქვიშდამჭერებში მიწოდებული ჩამდინარე წყლის ხარჯი და არეგულიროს ცალკეულ ქვიშდამჭერების დატვირთვა, ზომავდეს დაკავებული ქვიშის ფენას, აშორებდეს (აკლებდეს) ქვიშდამჭერს ქვიშას მისი დაგროვებისას არა უგვიანეს 1-2 დღის შემდეგ.

ქვიშდამჭერიდან ქვიშის გატანა ხდება ტუმბოებით, პიდროელევატორებით და პულპსადენით. ამ მიზნით ვრთავთ ტექნიკური წყლის ტუმბოს, ვხსნით საკვალითებს სამუშაო წყლის მიმწოდებელ მიღსაღენებზე და პულპსადენებზე. ქვიშა წყალთან ერთად გავა ქვიშიან მოედნებზე და ქვიშის მთლიანი გადაქაჩვის შემდეგ ვკეტავთ საკვალითებს, პულპსადენი კი გაირეცხება მასში დარჩენილი ქვიშისაგან.

ქვიშდამჭერების მუშაობაზე კონტროლი ხორციელდება შემავალ და გამავალ ჩამდინარე წყლებში შეტივტივებულ ნივთიერებათა შემადგენლობით.

გადატვირთული ქვიშის რაოდენობა დგინდება გადმოტვირთვის დროს. როდესაც ქვიშა არ გადმოიტვირთება პიდროელევატორის საშუალებით შეიძლება მოხდეს შემდეგი შემთხვევები:

1. სამუშაო წყლის მცირე დაწნევა

(დაწნევა უნდა იყოს არა უმცირეს 2.5 - 4.0 ატმოსფერო).

2. პიდროელევატორის შემწოვის დანაგვიანება. ამისათვის საჭიროა გადასაადგილებელი ტუმბოს მეშვეობით დაიცალოს ქვიშდამჭერი და შემწოვი გასუფთავდეს ხელით.

დანადგარების დათვალიერების, გასუფთავების და რემონტის მიზნით ქვიშდამჭერები იცლება (ცარიელდება) არა უგვიანეს 1-1.5 წელში.

ქვიშის მოედანი

ქვიშის მოედანი ემსახურება ქვიშის შრობას დრენაჟით და ხელოვნური აორთქლებით.

უნდა კონტროლდებოდეს ქვიშის მოედნებზე გადაქაჩული ქვიშის ფენის სიდიდე და უზრუნველყოთ შემშრალი ქვიშის დროული გადაზიდვა.

წელიწადის თბილი ამინდების დროს ქვიშის მოედნებზე დაყრილი ქვიშის დეზინფექციისათვის მიზანშეწონილია ქვიშას მოეყაროს ქლორიანი კირი.

ქვიშის მოედნიდან გამშრალი ქვიშა გადაიტვირთება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.

ქვიშის მოედნებისათვის საზღვრავენ ქვიშის ტენიანობას.

პირველადი რადიალური სალექსარი

პირველადმა რადიალურმა სალექრებმა უნდა უზრუნველყონ ჩამდინარე წყლების გამჭირვალობის (დაწმენდის) საჭირო ეფექტი და ნალექის სიმკვრივე.

ჩამდინარე წყლები მიეწოდება ცენტრალური მილით, ხოლო მისგან მიედინება (მოძრაობს) რადიალური მიმართულებით ცენტრიდან პერიფერიულ წრიულ მკრებავ დარისკენ, ამასთან წყლის დინების სიჩქარე ნელ-ნელა კლებულობს.

ფსკერზე დალექილი ნალექი იფხიკება საფხეცებით სალექარის ცენტრის ქვეშ თანაორმოში, რომლებიც დამაგრებულია რადიალურ ფერმაზე

ცენტრალური საქონის ირგვლივ სატრიალებლად, თანაორმოდან კი პლუნჯერული ტუმბოების მეშვეობით ლამსადენი მილით გადაიქაჩება (გადაიზიდება) ლამსაკრელ მოედნებზე.

ჩამდინარე წყლების დაწმენდის ეფექტი და ნალექის სიმკვრივე რადიალური სალექრებისათვის უნდა შეადგენდეს 40-50%-ს, როდესაც ნალექის ტენიანობა 92-94%-ია.

ჩამდინარე წყლებში შეტივტივებულ ნივთიერებათა შემცველობა სალექრების შემდეგ კი. სალექარებიდან გასვლის შემდეგ არ უნდა აღემატებოდეს 100 მგ/ლ. მთლიანად მისი ბიოლოგიურად გაწმენდისათვის აეროტენაციებში მიწოდებისას.

შემკრებ დარებში დაწმენდილ წყალში შეტივტივებულ ნივთიერებების გადასვლის შესამცირებლად, საჭიროა უზრუნველვყოთ პიდრავლიკური დატვირთვა 10-12 ლიტ/წმ. 1 მ წყალგადაშვებაზე.

უნდა უზრუნველვყოთ სალექარში ჩამდინარე სითხის თანაბარი მიწოდება.

სალექარებიდან წყლის მიმუვანი დარები და არხები უნდა იწმინდებოდეს ნარჩენებისაგან და დალექილი მძიმე ნალექისაგან. უნდა ჩამოიფხიკოს შემკრები დარების წყალგადასაშვები პირები (ნაწილურები) მათზე დარჩენილი ჭუჭყისაგან.

უნდა ვაკონტროლოთ სითხის დაწმენდის ეფექტი.

უნდა უზრუნველვყოთ ნალექის მოცილება ცვლაში არა ნაკლებ ერთხელ ან ორჯერ.

ნალექის გამოშვებას ვახდენთ პიდრავლიკური წნევის ქვეშ ჩამდინარე სითხის შეუწყვეტლივ მიწოდებით. საფხევ მექანიზმს ვრთავთ ნალექის გამოშვებამდე (გადაქაჩვამდე) 1 სთ-ით ადრე. სალექარის თანაორმოდან ნალექის მოცილება ხდება პლუნჯერული ტუმბოს მეშვეობით, რომელსაც ვრთავთ შემწოდ და სადაწნეო მილსადენის გახსნილი საკვალიფებით, აგრეთვე ვხსნით საჭარო ვენტილს სადაწნეო მილსადენზე (კორპუსიდან ჰაერის გამოშვებისათვის). ნალექის გადაქაჩვის დამთავრების შემდეგ ჯერ უნდა გამოირთოს პლუნჯერული ტუმბო, ხოლო შემდეგ ლამსაფხევი.

სალექარის დაცლა მის დასათვალიერებლად, გასაწმენდად და რემონტის ჩასატარებლად ხდება 2 წელიწადში ერთხელ.

სალამე მოედნები

სალამე მოედნები გამოიყენება ლამისაგან ტენის გამოსაყოფად დრენირებით და აორთქლებით.

ლამსაყრელი მოედნები უნდა უზრუნველყოფნები ნალექიდან და აქტიური ლამიდან ტენიანობის შემცირებას (ნალექის შეშრობას), რომელიც სალექრიდან გადატუმბვისას შეადგენს 70-80%.

ლამის წანამატის პერიოდულობა ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე შეადგენს 20-30 დღედამეს, ხოლო ლამის სისქე 0.2-0.3 მეტრს ზაფხულის პერიოდში და 0.1 მეტრით დაბალს გადამდობ (შემაკავებელ) ლილვაკებისაგან ზამთრის პერიოდში.

ლამსაყრელი მოედნებისათვის ნორმალური სამუშაო პირობების შესაქმნელად საჭიროა ყურადღებით ვადევნოთ თვალყური, რომ ლამი დროულად და თანაბრად იყოს განაწილებული „რუკების“ მთელ მოედანზე.

თავის დროზე გავანთავისუფლოთ მოედანი გამშრალი ლამისაგან და მოვამზადოთ იგი მისი შემდგომი ექსპლოატაციისათვის.

ნალექის გადმოტვირთვა იწარმოება:

ზაფხულში მშრალი ამინდების დროს, ზამთარში კი როდესაც ნალექი იყინება. ნალექის გადმოტვირთვის შემდეგ ლამსაყრელ მოედანს ვასწორებთ და საჭიროების მიხედვით ვუმატებთ ქვიშას.

აეროტენკები

აეროტენკები თავისთავად წარმოადგენებ სწორკუთხა რეზერვუარებს, რომლიდანაც ნელა გაედინება აქტიურ ლამში და ჩამდინარე სითხეში წინასწარ დაყოვნებული სააერაციო ნარევი. საცირკულაციო აქტიური ლამი მიეწოდება აეროტენკებს თავმოყრილად (შეჯგუფებულად). აეროტენკებში ჰაერის განაწილება ხდება ფილტროსული ფილებით.

აეროტენკის გაშვება, რომელიც მუშაობს მეორად სალექტრებთან ერთად, იწყება აქტიური ლამის გამოზრდით, ხოლო შემდეგ ნაგებობა დაიყვანება გაანგარიშებულ დატვირთვაზე. აეროტენკი ჯერ ივვსება წყლით სიმაღლით 25-50 სმ და მიეწოდება პაერი საანგარიშო ხარჯის 25%-ის ოდენობით.

შემდეგ ვარეგულირებთ პაერის მიწოდებას, ვაღებთ წყალპაერის ვენტილებს და როდესაც შეწყდება მათგან წყლის გამოფრქვევა ვპეტავთ ვენტილებს.

აეროტენკის ყველა სექციებში წყლის დონე უნდა იყოს თანაბარი. აქტიური ლამის აღმოსაცენად (გამოსაზრდელად) საჭიროა აეროტენკების ექსპლუატაცია 50%-ის დატვირთვით. ამ დროს მეორად სალექარში ჩნდება აქტიური ლამის ფიფქები, რომლებსაც უკან ვაბრუნებთ აეროტენკში.

აქტიური ლამის მომწიფების შემდეგ, აეროტენკებში თანდათანობით ვუშვებთ ჩამდინარე წყალს და პაერშემბერ სადგურში დაღგმული ტუმბოს საშუალებით ვახდენთ უკუქცეულ(უკანდაბრუნებულ)ლამის რეგულარულ გადაქაჩვას აეროტენკებში.

აეროტენკებში მუშაობა ითვლება დამაკმაყოფილებლად თუ დაწმენდილი ჩამდინარე სითხე, პაერი და აქტიური ლამი ყოველ აეროტენკს მიეწოდება თანაბრად. დაუშვებელია პაერის მიწოდების შეწყვეტა, რაღგანაც დაირღვევა ბიოლოგიური პროცესი. პაერის მიწოდებას ვარეგულირებთ საკვალითების საშუალებით.

ვინარჩუნებთ ჩამდინარე სითხის კონცენტრაციას (შეტივტივებულ ნივთიერებებს არა უმეტეს 100 მგ/ლიტ), აქტიური ლამის (7-8 გრ/ლიტ) ასევე დასახულ კონცენტრაციას და აქტიური ლამის უკანდაბრუნების (უკუქცევის) პროცენტს.

ვაკონტროლებთ აქტიური ლამის მდგომარეობას მისი ბიოცენზის ან ინდექსის მიხედვით, რათა დროულად იქნეს მიღებული საჭირო ზომები აქტიური ლამის აფუქბის საწინააღმდეგოდ.

აეროტენკებში ჰაერის მიწოდება რეგულირდება მისგან გასული ჩამდინარე სითხის ხარისხის საფუძველზე, სითხეში გახსნილი ჟანგბადის რაოდენობის გათვალისწინებით.

სითხეში გახსნილი ჟანგბადის რაოდენობა განისაზღვრება შემდგრეულ ლამთან ერთად აღებული წყლის სინჯით ან ავტომატური ხელსაწყოების ჩვენებით.

აქტიური ლამის ამობურცვის – აფუების შემთხვევაში, მიუხედავად მისი გამომწვევი მიზეზებისა, უნდა განვახორციელოთ რომელიმე, შემდეგი დონისძიება:

ა) დავარეგულიროთ თანაფარდობა აქტიური ლამის კონცენტრაციასა და მიწოდებულ ჰაერის რაოდენობას შორის;

ბ) მოვახდინოთ ლამის რეგულირაცია;

გ) გავაძლიეროთ – გავზარდოთ უკანდაბრუნებული ლამის გადატუმბვა და დავარეგულიროთ გადასატუმბავი ლამის ოდენობა;

დ) ხელოვნურად უნდა ავამაღლოთ ჩამდინარე სითხის დონე 8.5-9.5 სმ-მდე და გავზარდოთ აქტიური ლამის დაყვანების ხანგრძლივობა რეგენერატორში.

აქტიურ ლამში ნიტრატების და ნიტრიტების სახეზე ყოფნა იმის მაჩვენებელია, რომ იგი მანიტრიცებელია (კარგი მდგომარეობაა), მიკროსკოპის მეშვეობით ვიზუალურად შეიძლება განისაზღვროს აქტიურ ლამში ჰიდრობიოლოგიური ბაქტერიების არსებობა.

ვორტიცელები, კოლოვრატკები, ასპედისიები ახასიათებენ ლამის ნიტრიფიცირებულ მდგომარეობას.

აეროტენკებში ჩამდინარე წყლების გაწმენდის რეჟიმის მძიმედ დარღვევის დროს, როდესაც აეროტენკზე დატვირთვის დროებითი შემცირება არ შევლის და აქტიური ლამი კარგავს გაწმენდის უნარს, გაფუჭებულ ლამს ვიშორებთ და იწყება ახალი ლამის მომზადება.

დაუშვებელია აეროტენკებში იმისთანა წყლის მიწოდება, რომელიც შეიცავს ნავთობპროდუქტებს, ცხიმებს ან ტოქსიკურ ნივთიერებებს, რომლებიც მოქმედებენ აქტიურ ლამზე.

აეროტენკების დაცლის აუცილებლობის შემთხვევაში არის განკუთვნილი კამერა. მათი დაცლის შემდეგ ირეცხება ფორიანი ფირფიტები (ფილები). მათი გასუფთავება (გარეცხვა) ხდება მათი დანაგვიანების მიხედვით მაგრამ არა უგვიანეს ერთ-ორჯერ წლის განმავლობაში. ფირფიტები სუფთავდება ლითონური ჯაგრისით მარილმჟავას 30%-იანი ხსნარით ან 1-2 სმ სიმაღლის წყალში პაერის ქვემოდან შებერვით. ფირფიტების შეცვლის ვადა დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზე და არ უნდა აღემატებოდეს 4-7-წელს. მათ შეცვლისას საჭიროა შევარჩიოთ ერთნაირი, თანაბარ შეღწევადი ფირფიტები.

მეორადი სალექარი

მეორადი სალექარი ემსახურება აქტიური ლამის დალექვას. ლამიანი ნარევი აეროტენკიდან მიეწოდება სალექარის ცენტრალურ ნაწილს და გროვდება პერიფერიული დარით.

მიწოდებული აქტიური ლამი გაიწოვება ლამსასრუტით და მიემართება აქტიური ლამის სატუმბი სადგურის ქვედა კამერისაკენ, ხოლო იქიდან ტუმბოებით აქტიური ლამის ზედა გამანაწილებელ კამერისაკენ. აქტიური ლამის გამანაწილებელი კამერიდან ცირკულირებული აქტიური ლამი მიემართება აეროტენკში, ჭარბი აქტიური ლამი კი ლამგამკვრივებელ-ლამსამჭიდროვებლებში.

საჭიროების შემთხვევაში მცირდება ლამის დოზა აეროტენკებში ან მისი გატანა მეორად სალექრებში გადასხმისას უფრო დასაშვები დოზებით ან როცა შეტივტივებული ნივთიერებები მეორად სალქარებიდან გამოსასვლელთან 15 მგ/ლიტრზე მეტია.

ლამგამკვრივებლები

ლამგამკვრივებლები გაანგარიშებულია მთლიანად ჭარბი აქტიური ლამის გასამკვრივებლად (შესამჭიდროვებლად), რომელიც მიღებულია გამწმენდ ნაგებობებზე.

ლამგამკვრივებლებში ჭარბად შექმნილი ლამის ტენიანობა 99.5%-დან მცირდება 97%-მდე, ხოლო დაყოვნების დრო 8 სთ-ია. შემკვრივებული (შემჭიდროვებული) აქტიური ლამის გამოშვება დამოკიდებულია ლამის მდგომარეობაზე.

ლამგამკვრივებლებში ლამის მდგომარეობის დონე კონტროლდება ლამის დონის გადამწოდით ფოტოწინაღობასთან ერთად.

მეთანტენები

მეთანტენები გამოიყენება პირველადი სალექარებიდან ნალექების და ჭარბი აქტიური ლამის გადასამუშავებლად.

მეთანტანებში ჩატვირთვა ხორციელდება ტუმბოებით, რომლებიც განლაგებული არიან მეთანტენების სატუმბი სადგურის შენობაში. ნედლი ნალექის ნარევი პირველადი სალექრებიდან და შემჭიდროვებული აქტიური ლამი გადაიქაჩება რეზერვუარიდან ტუმბოებით.

ნედლი ნალექის მიწოდება ხდება მეთანტანების ზედა ზონებში. ჩაყრილი ნალექის გადმოტვირთვა ხდება მილსადენით მისი შემდგომი გადამუშავების მიზნით.

შემომავალი ნედლი ნალექის დახანებულ ნალექთან უკეთ შერევისათვის, მეთანტენებში ხდება ნალექის მოხეტიალე მასის არევა.

არეული ნალექი შემწოვი საქაჩავი მილსადენით გადაიზიდება მეთანტენების ქვედა ზონიდან ზედა ზონაში სადაწნეო მილსადენით.

მეთანტენების დაცლა ხორციელდება მეთანტენების ქვედა ზონიდან ნალექის გადამზიდი მილსადენით.

ნედლი ნალექის შეთბობა მიმართულ მეთანტენკში ნალექის შესაღუებლად ხორციელდება ორთქლით, რომელიც საქვაბიდან ორთქლსადენი მილით მიეწოდება.

მეთანტენკის მუშაობა ფასდება აირის გამოსავლით 1 კგ უნაცრო ნივთიერებიდან და შეღუების მიხედვით კ.ი. ნალექი როგორ ღუვდება, რომელიც დამოკიდებულია ფაქტიური ტენიანობის ნალექის ჩატვირთვაზე და უნაცრო მშრალ ნივთიერებაზე 1 კუბ.მ-ზე.

1 კგ უნაცრო ნივთიერებიდან გამოსული აირი უნდა იყოს $45-52^{\circ}\text{C}$ ზღვრებში, ჩატვირთვის დოზა კი 14.7 %.

აირის გამოსვლის გარდა, შეღუების პროცესი კონტროლდება და ფასდება ლამიანი სითხით, რომელშიაც საზღვრავენ ცხიმოვანი მჟავეების რაოდენობას, ტუტიანობას და აზოტ ამონიუმის მარილების რაოდენობას.

პროცესის დარღვევის დროს ტუტიანობა და აზოტ ამონიუმის მარილები მცირდება, ხოლო ცხიმოვანი მჟავეების რაოდენობა იზრდება.

საკონტაქტო არხი

მეორადი სალექარის შემკრებ პერიფერიულ ღარიდან გაწმენდილი ჩამდინარე სითხე გაედინება საკონტაქტო არხში სადაც ხდება მისი დეზინფექცია ქლორიანი სითხით.

საკონტაქტო არხში დარჩენილი ქლორის დოზა უნდა იყოს 1,5 მგ/ლ რომელსაც საზღვრავენ საწარმოო ლაბორატორიის თანამშრომლები დღე-დამის განმავლობაში ყოველ 2 სთ-ში ერთხელ.

საქლორატორო

ჩამდინარე წყლების დაბინძურების აცილების მიზნით ქლორის სახარჯავ საწყობთან არის შეთავსებული საქლორატორო, რომელიც მუშაობს ოხევად ქლორზე. დადგმულია **ЛОННИ-100** ტიპის საქლორატორო აპარატი ეუექტორით. აპარატის ნორმალური მუშაობისათვის ტენიკურ წყალს უნდა ჰქონდეს დაწნევა 3 ატმოსფერო.

**თხევადი ქლორის შემოტანა გათვალისწინებულია კონტეინერებით.
აპარატმა დღეგამის განმავლობაში უნდა იმუშაოს უწყვეტლივ. კონტეინერი
დადგმულია სასწორზე.**

**საქლორატოროში უნდა იყოს ტემპერატურა $15-20^{\circ}\text{C}$. ყოველდღე უნდა
მოწმდებოდეს ყოველი მიერთების გერმეტიულობა. აირის გაჟონვა მოწმდება
ნიშადურის სპირტით დასველებული ჯოხზე დახვეული ბამბით. აირის გაჟონვის
დროს მასზე ჩნდება თეთრი ბოლი.**

**შენიშვნა: მომსახურე პერსონალმა მკაფრად უნდა დაიცვას ტენიაკის
უსაფრთხოების წესები.**

არსებული მდგომარეობა

გამწმენდი ნაგებობის გასაშვები რიგის მშენებლობა (რუსთავის ქიმიური
კომპინატის საწარმოო ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით) დამთავრდა 1980
წელს (80000 მ³/დღ., მექანიკური გაწმენდა) პირველი რიგის – 1984 წელს (700000
მ³/დღ., მექანიკური და ნაწილობრივ ბიოლოგიური გაწმენდა) და მთლიანად
პირველი რიგი (1 მილიონი მ³/დღ.) მიღებული იქნა ექსპლუატაციაში 1986 წელს.

აღნიშნული ობიექტი ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი
სარვეზებით.

ნაგებობას დღემდე არ მიუღწევია საპროექტო სიმძლავრემდე (1 მლნ.
მ³/დღ.), ვინაიდან დღეისათვის მასში არ არის ჩართული ქ. მარნეულის, ქ.
გარდაბნის, ქ. მცხეთისა და დუშეთის რაიონის ჩამდინარე წყლები, აგრეთვა ქ.
თბილისის ჩამდინარე წყლების 55%-60%.

შპს "საქმეალკანალის" მიერ დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად,
გათვალისწინებულია ჩამდინარე წყლების მიღება ქ. თბილისიდან, ქ.
რუსთავიდან, რუსთავის სს "ენერჯი ინვესტიდან", რუსთავის სს "ქართული
ფოლადიდან" და სხვა მცირე ობიექტებიდან.

ფაქტიურად 2007-2008 წლებში გამწმენდი ნაგებობის მიერ მიღებულია:

ცხრილი 8

	მიღებული ჩამდინარე წყლის ხარჯი, მ³	
ორგანიზაცია	2007 წ.	2008 წ. (იანვარი-აგვისტო)
"თბილის წყალი"	129300000	82089440
"რუსთავწყალკანალი"	5475000	3660000
სს "ენერჯი ინვესტი"	2178193	1114244
სს "ქართული ფოლადი"	325629	868664
სხვა ობიექტები	819	4815
სულ	137879641	87730163

ენერგეტიკულმა კრიზისმა, რომელიც დადგა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და ელექტროენერგიაზე ტარიფების მნიშვნელოვანმა ზრდამ, რომელიც მოყვა ამ პროცესს, რაც იყო გამოწვეული საფინანსო დეფიციტით, საკმაოდ ნეგატიური გავლენა მოახდინა გამწმენდი ნაგებობის მუშაობაზე. შეწყვეტილი იქნა გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესები, დაიღუპნენ ის მიკროორგანიზმები, რომლებიც გამოიყენებოდნენ ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გაწმენდისათვის.

წლების განმავლობაში გამწმენდ ნაგებობაზე არ ჩატარებულა კაპიტალური შეკეთების სამუშაოები. ამჟამად რეგიონალური გამწმენდი ნაგებობა რემონტდება შ.კ.ს. "საქწყალკანალის" საკუთარი თანხებიდან.

შექმნილი სიტუაციის შედეგად, მუშა მდგომარეობაშია მხოლოდ პირველადი, მექანიკური გაწმენდის საფეხური:

სურათი 1. ქვიშის დამჭერები და სალგენარები მოქმედებაში



სურათი 2. აღდგენილი და გარემონტებული გიხოსები



სურათი 3. პირველი რადიალური სალექარი მოქმედებაში. გადასხმები



ალტერნატივების განხილვა

საწარმოს განთავსების ალტერნატიული ტერიტორიის განხილვა არ მოხდება, რადგან გამწმენდი ნაგებობა მრავალი წელია ფუნქციონირებს და აწარმოებს ჩამდინარე წყლების მექანიკურ გაწმენდას, ამასთანავე შექმნილი აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა (მისასვლელი გზა, ელექტრომომარაგება, წყალმომარაგება და სხვა).

ტექნოლოგიური ალტერნატივების განხილვა არ ხდება იმის გამო, რომ პროექტით გათვალისწინებული ტექნოლოგიური ციკლი უკვე აპრობირებულია როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და მიჩნეულია ტრადიციულ გაწმენდად. გარდა ამისა ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული დანადგარები და მასალები, აგრეთვე გამწმენდი სისტემის მოწყობის სქემა აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რათა უზრუნველყოფილი იქნას გარემოზე ზემოქმედების მინიმალური რისკი,

საწარმოს ტერიტორიის განლაგების რაიონის მოკლე ეპონომიკური და გეოგრაფიული დახასიათება

ობიექტის განლაგების რაიონი ხასიათდება ხელსაყრელი გეოგრაფიული, ეპონომიკური და კლიმატური პირობებით. რაიონი მნიშვნელოვნადაა ათვისებული, აქვს გზების ხშირი ბადე, დაკავშირებულია თბილისთან საავტომობილო გზატკეცილით.

რაიონი მჭიდროდ არის დასახლებული. განვითარებულია სოფლის მეურნეობა. ობიექტს ემიჯნება თბილსრესის ტერიტორია. მის გვერდზე მდებარეობს ამჟამად უმოქმედო მუყაო-რუბეროიდის ქარხანა.

უახლოესი წელის არტერიას წარმოდგენს მდინარე მტკვარი.

ბუნებრივი ფონური მონაცემები:

კლიმატი

კლიმატური თვალსაზრისით გარდაბნის რაიონი შედის ქვემო ქართლის ბარის ზონაში, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით. აღნიშნული ტერიტორიის კლიმატის ცალკეული ელემენტები შესაძლებელია დახასიათებულ იქნეს რუსთავის და გარდაბნის მეტეოროლოგიური სადგუების რეგულარული დაკვირვებების მონაცემებით.

საქართველოს პავის მრავალფეროვნებას გავსაზღვრავს -ერთის მხრივ მისი მდებარეობა სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე, შავსა და კასპიის ზღვებს შორის, მეორეს მხრივ კი, მისი რელიეფის განსაკუთრებული სირთულე და ამასთან დაკავშირებული, ატმოსფეროს ზოგადი ცირკულაციის ადგილობრივი თავისებურებები. რელიეფის მნიშვნელოვანი დასერილობა ზოგად ცირკულაციას იმგვარად გარდაქმნის და მეტეოროლოგიური ელემენტების რიცხვითი სიდიდეების ისეთ დიდ სხვადასხვაობას იწვევს, რომ საქართველოს ამ შედარებით მცირე ტეროტორიაზე, განსხვავებული კლიმატური რაიონები გამოიყოფა. ამ მრავალფეროვნების დასახასიათებლად და სათანადო სამეცნიერო თუ პრაქტიკული საწარმოო-საზოგადოებრივი საქმიანობის უზრუნველსაყოფად, ქვეყანაში ფუნქციონირებს მეტეოროლოგიური რეგულარული დაკვირვებების სახელმწიფო ქსელი, რომელთა დაკვირვებების ბაზაზე დადგენილია საქართველოს, როგორც მთლიანი, ასევე მისი რეგიონების, ცალკეული დასახლებული რაიონების და მსხვილი ქალაქების კლიმატური მახასიათებლები.

საქართველოს ტერიტორიის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს გააჩნიათ კლიმატის ფორმირების მკვეთრად განსხვავებული ფიზიკურ-გეოგრაფიული და ატმოსფერული ცირკულაციის თავისებურებები. ამასთან

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ რეგიონებში მიმდინარე ლოკალურ ანთროპოგენულ პროცესებს შეუძლათ გავლენა იქონიონ მხოლოდ შეზღუდული მასშტაბით. საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებით განიხილება -აღმოსავლეთ საქართველოს, ქვემო ქართლის ვაკის, კლიმატური დახასიათება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ინტენსიური ანთროპოგენული ზემოქმედების, ქვეყნის უმსხვილესი სამრეწველო კერების რეჟიმულ-კლიმატური მახასათებლები. აღნიშნული მახასიათებლების ტერიტორიული დახასიათებისათვის გამოყენებულ იქნა მეტეოროლოგიური დაკვირვებების სახელმწიფო ქსელის ამჟამად მოქმედი, აგრეთვე სხვადასხვა პერიოდებში დაკვირვებების მქონე შემდეგი სადგურების მონაცემები: თბილისი, რუსთავი, გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი.

საქართველოს მდინარეთა რეჟიმი წლის განმავლობაში ხასიათდება რამდენიმე ფაზით: გაზაფხულის და ზაფხულის წყალდიდობით, აგრეთვე ზაფხულ-შემოდგომის და ზამთრის (წყალმცირობის ფონზე) ხანდახან წყალმოვარდნებით. ფაზები განაპირობებენ მდინარეთა ჩამონადენის სეზონურ ხასიათს. რაც საზრდოობის ძირითად წყაროებთან ერთად განსაზღვრავენ მდინარეთა რეჟიმის თავისებურებებს. ზოგადი დახასიათებით, საქართველოს რელიეფი დახრილია ორი ძირითადი მიმართულებით: დასავლეთისა და აღმოსავლეთისაკენ. შესაბამისად მდინარეები მიეკუთვნებიან შავი ზღვისა და კასპიის ზღვის აუზებს. მათი წყალგამყოფი ლიხის ქედზე გადის.

აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა უმრავლესობას მიწისქვეშა წყლები, მყინვარები და თოვლი ასაზრდოებენ, რასაც ატმოსფერული ნალექებიც ემატება. მდინარეებზე წყალდიდობა გვიან გაზაფხულსა და ზაფხულის დასაწყისში აღინიშნება.

ტემპერატურული რეჟიმი

საწარმოო ობიექტის აღგილმდებარეობის უბანი მთლინად შედის ქვემო ქართლის ბარის კლიმატურ ზონაში. აქ ყველაზე ცივი თვეა იანვარი, რომლის საშუალო ტემპერატურაა 0° , ზაფხულში უმეტეს ტერიტორიაზე ტემპერატურა 25° აღემატება. ყველაზე ცხელი თვეებია ივლის-აგვისტო. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა $12,1^{\circ}\text{C}$ -ია. ყინვები იწყება ნოემბერში და გრძელდება მარტის ბოლომდე. აბსოლუტური მინიმუმია -25°C . წლის ყველაზე თბილი თვე ივლისია, საშუალო ტემპერატურით $23,9^{\circ}\text{C}$. 10°C -ზე მაღალი ტემპერატურა 6-7 თვის განმავლობაში გრძელდება. ამ რაიონში იანვრის თვეში ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმების მრავალწლიური საშუალო მნიშვნელობაა -11°C , ხოლო ივლის-აგვისტოს თვეების ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმების საშუალო მნიშვნელობა 30°C . ყველაზე მაღალი ტემპერატურა ამ თვეებში $-40\text{--}41^{\circ}\text{C}$ -ით აღინიშნება.

ნალექები

საშუალო წლიური ნალექების ჯამი 495 მმ-ია. ნალექების მთავარი მაქსიმუმი მაის-ივნისშია (75-73მმ) ყველაზე მშრალი თვეები დეკემბერი და იანვარია (19-21 მმ), რაც შეახება ნალექების სეზონურ განაწილებას, ამ მხრივ დამახასიათებელია უხვნალექიანობა წლის თბილ პერიოდში (351 მმ)და მცირენა-ლექიანობა წლის ცივ პერიოდში (144 მმ).

მოსული ნალექები მთელი წლის განმავლობაში შედარებით არათანაბრადაა განაწილებული და დიდ საზღვრებში მერყეობს. ნალექებით უფრო უზრუნველყოფილია გაზაფხული და ზაფხულის დასაწყისი. მინიმუმია ზამთარში და ზაფხულის მეორე ნახევარში. ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ არის 108. ნალექების დღედამური მაქსიმუმია 132 მმ. თოვლი შესაძლებელია მოვიდეს აპრილამდე. თოვლის საბურველი შეიძლება გაჩნდეს ნოემბერში და გაქრეს მარტში. თოვლის საბურველის საშუალო სიმაღლე მერყეობს 5 – 10 სმ-ის ფარგლებში, ხოლო მაქსიმუმმა შეიძლება მიაღწიოს 35 სმ-ს. ჰარდობითი ტენიანობის საშუალო წლიური მაჩვენებელია 67%. წელიწადში საშუალოდ 48 დღე გამოირჩევა მაღალი ($\geq 80\%$) ტენიანობით, ხოლო მათი მაქსიმალური რაოდენობაა 71.

ქარის რეჟიმი

საწარმოს განლაგების მიდამოებში გაბატონებული ქარების საშუალო წლიური სიჩქარე 2 მ/წმ უდრის. უფრო ძლიერი ქარები იცის გაზაფხულზე – მარტსა და აპრილში, შედარებით სუსტი-შემოდგომა-ზამთარში. ქარის მაქსიმალური სიჩქარე -15 მ/წმ-ზე მეტი. წლის განმავლობაში საშუალოდ 19 დღეა, ხოლო მათი მაქსიმალური რაოდენობაა - 65 დღე. უბანზე სიძლიერით და სიხშირით გამოირჩევა ჩრდილოეთის (27%) და აღმოსავლეთის (18%) მიმართულებათა ქარები. ქარის სხვადასხვა მიმართულებებისა და შტილის განმეორებადობა მოცემულია ცხრილში:

ქარის სხვადასხვა მიმართულებების განმეორებადობა

ცხრილი 9

მიმართულება		ა		ა		ღ		ღ	შტილი
ა შტილი									

გან- მეორე- ბადობა %-ში	7		8	3			1	6	3
----------------------------------	---	--	---	---	--	--	---	---	---

გეოლოგიური პირობები

საკვლევი ობიექტი და მისი მიმდებარე ტერიტორია ადმინისტრაციულად გარდაბნის რაიონის სოფ. ქვემო კაპანახშის მიეკუთვნება.


მორფოლოგიურად ეს მდ. მტკვრის მარცხენა, ჭალისზედა ფართო ტერასაა, რო-
მელიც მოსწორებული, ზოგან ჩაზნექილი, ვაკე რელიეფით ხასიათდება. რელიე-
ფი უმნიშვნელოდ არის დახრილი სამხრეთ-დასავლეთით, მდ. მტკვრის კალაპო-
ტის მიმართულებით.

აღმოსავლეთიდან, დაახლოებით 3 კმ-ის დაშორებით, ტერასა ებჯინება და-
ბალმთიან, ბორცვოვან-გორაკიანი რელიეფის ზოლს, რომელიც ოლიგოცენ –
ქვედა მიოცენის ძირითადი ქანების, ქვიშაქვა-არგილიტების მონაცემების
სუბსტრატზე არის განვითარებული.

სეისმური პირობები

სეისმური პირობების მიხედვით საკვლევი ტერიტორია მდებარეობს 7-8 ბალიან ზონაში (იხილე საქართველოს ტერიტორიის სეისმური ზონირების რუკა). აღნიშნული გარემოება გასათვალისწინებელია ნებისმიერი მშენებლობის განხორციელებისას.

3b3nogm 10



პიდროლოგიური ქსელი

გარდამნის რაიონის სოფელ ქვემო კაპანახისთან მდინარეთა ძირითად არტერია მტკვარია, სადაც ხდება გაწმენდილი ჩამდინარე წყლების ჩაშვება.

მდინარე მტკვარი, რომელიც სათავეს თურქეთის რესპუბლიკაში იღებს, არის არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის უდიდესი მდინარე. მისი საერთო სიგრძეა 1364 კმ. ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე 390 კმ. მდინარის წყალშემკრები აუზის ფართობი ქ. თბილისთან 21120 კვ.კმ-ს შეადგენს. მდინარე მტკვრის აუზი მრავალფეროვანი ლანდშაფტებით ხასიათდება, რაც არსებით გავლენას ახდენს მის რეჟიმზე. მტკვარი არის შერეული საზრდოობის მდინარე. იგი საზრდოობს თოვლის, წვიმის და მიწისქვეშა წყლებით.

მდინარისათვის დამახასიათებელია გაზაფხულის წყალდიდობა, ხოლო ზაფხულსა და ზამთარში წყალმცირეობა. გაზაფხულის წყალდიდობა მარტის პირველ ნახევარში იწყება და მაქსიმუმს აღწევს აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში. ივლის-აგვისტოში მტკვარზე წყალმცირეობაა, ისევე როგორც მთელი ზამთრის განმავლობაში.

მდინარის კალაპოტის მონაკვეთი ქ. თბილისიდან აზერბაიჯანის საზღვრამდე ზომიერად დაკლაპნილია და დატოტვილია. მდინარის ტოტები წარმოქმნიან მცირე კუნძულებს, რომელთა სიგანე მერყეობს 50-100 მ საზღვრებში, ხოლო სიგრძე – 300-500 მ-ია. ტოტების სიგანე უმეტესწილად მერყეობს 20-80 მ-ის შორის, ხოლო სიდრმე იცვლება 0,5 მ-დან 2,0 მ-დე. დინების საშუალო სიჩქარე 1-1,5 მ/წმ. შეადგენს.

მდინარის ჩამონადენი წლის სეზონების მიხედვით შეადგენს: გაზაფხულზე – წლიური ჩამონადენის 48.5%, ზაფხულში – 26.9%, შემოდგომაზე 13.7%, ზამთარში – 10.9%, საზრდოობის კომპონენტების მიხედვით ჩამონადენის განაწილება შედგება: მიწისქვეშა წყლები – 38.6%, თოვლის წყლები – 36.6% და წვიმის წყლები 24.8%.

მდინარის წყლის წლიური ხარჯები მოცემულია ცხრილში:

მ³/წმ.

ცხრილი 11

	მდინარის კვეთი				
	ხერთვისი	ლიკანი	ძეგვი	თბილისი	ყირზანი (აზერბაიჯანი)
საშუალო	32,5	83,0	151,0	203,0	265,0
მაქსიმალური	55,6	122,0	251,0	325,0	-
მინიმალური	17,6	50,6	191,0	133,0	-


მდინარე მიეკუთვნება თევზსამეურნეო წყალსარგებლობის II კატეგორიის წყლის ობიექტს, რომლისთვისაც "საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის წესებით (დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 1996 წლის 17 სექტემბრის № 130 ბრძა-

ნებით) დადგენილია დამაბინძურებელ ნივთიერებათა შემდეგი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები (ზ.დ.კ.):

ცხრილი 12

ჟქნ	30 მგ 0 ₂ /ლ
ჟბბ	6 მგ 0 ₂ /ლ
ამონიუმის აზოგი	0,39 მგ/ლ
გახსნილი ჟანგბადი	> 6 მგ/ლ
pH	6,5 – 8,5
შეწონილი ნაწილაკები	ფონურთან მატება არაუმეტეს 0,75 მგ/ლ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს სააგენტოს (ყოფილი გარემოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის) ბოლო წლების მონაცემებით, მდ. მტკვრის წყალში დამაბინძურებელ ნივთიერებათა კონცენტრაციები შემდეგია:



სოციალურ-ეკონომიკური საკითხები

სოციალურ ფაქტორებზე ზემოქმედების შეფასება

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, მატერიალური დოკლათის წარმოებისა და მოხმარების პარმონიზაცია – ამ მიზნით ეკოლოგიურად ოპტიმალური და უსაფრთხო მეთოდების დანერგვა-გამოყენება. ამ მიმართულებით აუცილებელია საერთაშორისო პრაქტიკით რეკომენდებული მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მოთხოვნების დაცვა. „მდგრადი განვითარება” არის საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას – ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთ.

მდგრადი განვითარების პრინციპების დამკვიდრება უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო ურთიერთობებით აღიარებულ შემდეგ პრინციპთა უცილობელ დაცვას:

- ადამიანებს აქვთ უფლება ჰქონდეთ ჯანსაღი და ნაყოფიერი სიცოცხლე ბუნებასთან პარმონიულობის პირობებში;
- სახელმწიფოებს აქვთ სუვერენული უფლება გამოიყენონ საკუთარი რესურსები თავისი გარემოსდაცვითი და ეკონომიკური პოლიტიკის მიხედვით, ისინი პასუხისმგებელნი არიან იმისათვის, რომ მათ კონტროლს დაჭვემდებარებულმა საქმიანობამ ზიანი არ მიაყენოს ბუნებრივ გარემოს სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე;
- განვითარების უფლების რეალიზაცია უნდა მოხდეს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დღვანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებათა სამართლიანი დაკავშირება ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის სფეროში;
- მდგრადი განვითარების მიღწევისათვის აუცილებელია, რომ გარემოს დაცვა იქცეს განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილად და არ განიხილებოდეს მისგან მოწყვეტით;
- მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობა სიდარიბის აღმოფხვრა. ყველა სახელმწიფომ და ხალხებმა უნდა ითანამშრომლონ ამ მიზნით, რათა შემ-

ცირდეს მკვეთრი განსხვავება ცხოვრების დონეებს შორის და დაკმაყოფილდეს მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობის საციცოცხლო მოთხოვნილებები;

- განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ-ეკოლოგიურად ჩამორჩენილი ქვეყნების მდგომარეობას და მოთხოვნილებებს;

- სახელმწიფოები თანამშრომლობენ გლობალური თანამშრომლობის სულისკვეთებით, რათა შენარჩუნებული, დაცული და აღდგენილ იქნეს დედამიწის ეკოსისტემის სიჯანსაღე და მთლიანობა. ყველა სახელმწიფო ინაწილებს საერთო პასუხისმგებლობას გლობალური გარემოს დეგრადაციაში თავისი “წვლილის” მიხედვით. მონაწილეობენ რა მდგრადი განვითარების მიღწევისათვის საერთაშორისო თანამშრომლობაში, განვითარებული ქვეყნები აცნობიერებენ სათანადო პასუხისმგებლობას იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ზემოქმედებენ ისინი გარემოზე და რა ტექნოლოგიური და ფინანსური შესაძლებლობები გააჩნიათ;

- მდგრადი განვითარების და ყველა ადამიანისათვის ცხოვრების უფრო მაღალი დონის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოებმა უნდა შეზღუდონ და გააუქმონ წარმოებისა და მოხმარების არასიცოცხლისუნარიანი მოდელები და გაატარონ შესაბამისი დემოგრაფიული პოლიტიკა;

- სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ეროვნული კომპლექსური სამეცნიერო პოტენციალის განმტკიცებისათვის მდგრადი განვითარების მისაღწევად სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სფეროში გამოცდილების გაზიარების გზით;

- სახელმწიფოები დებულობენ სამართლებრივ აქტებს გარემოსდაცვით სფეროში საკუთარი სპეციფიკის საფუძველზე, ვინაიდან ერთი ქვეყნის სტანდარტები სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით სავსებით მიუღებელი შეიძლება აღმოჩნდეს სხვა ქვეყნებისათვის, განსაკუთრებით – განვითარებადი სახელმწიფოებისათვის;

- ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად, სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ხელსაყრელი და ღია საერთაშორისო სისტემის შექმნის მიზნით, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას და მდგრად განვითარებას ყველა ქვეყანაში;

- სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ეკოლოგიური დანახარჯების ინტერნაციონალიზაციას და ისეთი ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებას, რომელთა მიხედვითაც დამბინძურებელი უხდის სათანადო საფასურს დაზარალებულ მხარეს. ამასთან აუცილებელია არ დაირღვეს საზოგადოებრივი ინტერესები და საერთაშორისო ვაჭრობის და ინვესტირების წესები;

- ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში უდიდესი როლი ენიჭება მკვიდრ მოსახლეობას, მის ცოდნას და ტრადიციულ პრაქტიკას. სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ ადგილობრივი მოსახლეობის თვითმყობადობას, კულტურას, ინტერესებს და უზრუნველყონ მისი ეფექტიანი მონაწილეობა მდგრადი განვითარების მიღწევის საქმეში;
- მშვიდობა, განვითარება და გარემოს დაცვა ურთიერთდაკავშირებული და განუყოფელი ცნებებია.

მუშა-მოსამსახურეთა დასაქმების მდგრმარეობა

შ.კ.ს. „საქწყალკანალის“ რეგიონალური გამწმენდი ნაგებობასთან დაკავშირებით სოციალური ფაქტორებიდან ყურადღებას იმსახურებს დასაქმებული მუშა-მოსამასხურეთა რაოდენობრივი ზრდის განსაზღვრა (გარდაბნის რაიონის ინფრასტრუქტურის დადებითი მახასიათებელი).

ამასთან დაკავშირებით ადსანიშნავია, რომ შ.კ.ს. „საქწყალკანალის“ რეგიონალურ გამწმენდ ნაგებობაზე 77 მუშა-მოსამსახურე არის დაკავებული.

შრომის დაცვა და ტექნიკური უსაფრთხოება

უსაფრთხოება

შ.კ.ს. „საქწყალკანალი“ ატარებს პროგრესულ პოლიტიკას უსაფრთხოების საკითხებში. ყველა თანამშრომელმა უნდა გაიაროს უსაფრთხოების საწყისი კურსი, სანამ მას მიეცემა ობიექტზე მუშაობის ნებართვა. საწყისი კურსი მოიცავს გარემოს დაცვის საკითხებსა და მათთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. რეგულარულად ტარდება თათბირები უსაფრთხოების საკითხების განხილვისა და პრობლემატური საკითხების გადაჭრის მიზნით.

ტექნიკური – ელექტრომეურნეობის, აგრეგატების, კომუნიკაციების დაცვა იზოლაციით, შემოღობვით, დამცავი ამორთვით, სამუშაო ადგილის იზოლირებით, ელექტრული ბლოკირებით, დამცავი დამიწებით (ცენტრალური და ადგილობრივი), დანულებით და სხვა მეთოდებით.

ორგანიზაციული – ელ. დანადგარებზე მუშების დაშვება მხოლოდ სათანადო კვალიფიკაციის და ჯგუფის მინიჭების შემდეგ ელექტრული სამუშაოების ორგანიზაციაზე და წარმოებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნით, სამუშაოების

წარმოებაზე განწეს-დაშვების და განკარგულების გაფორმებით, სამუშაოთა უსაფრთხოდ მიმდინარეობაზე მუდმივი ზედამხედველობით, მომუშავების ელექტროდაცვითი საშუალებებით უზრუნველყოფით (დიელექტრიკული ხელთაომანები, ბოტები, ნოხები, მაიზოლირებელი მარწუხები, ძელები, ძაბვის გამზომები და სხვა).

ობიექტის და მომუშავე პერსონალის სანდარდაცვითი უსაფრთხოების უზრუნველყოფა მიღწეულია მოქმედი სტანდარტების და სანდარუსაფრთხოების წესების მოთხოვნების მიხედვით. შენობა-ნაგებობები და ცალკეული სათავსოები აგებულია სახანძრო დაცვის სათანადო კატეგორიების მიხედვით. სამუშაო ადგილები ძირითადად უზრუნველყოფილია სანდარქობის პირველადი საშუალებებით და წყალმომარაგებით.

წარმოებაში ექსპლუატაციაში მყოფი ძირითადი ტექნოლოგიური და ელექტრული მანქანა-მექანიზმების პარამეტრები შერჩეულია მოქმედი სტანდარტების ტექნიკური უსაფრთხოების და ექსპლუატაციის წესების მოთხოვნების მიხედვით და სრულიად აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ პირობებს.

სამუშაო ადგილები, ელექტრომეურნეობის ობიექტები ძირითადად უზრუნველყოფილი არიან უსაფრთხოების წესების ამკრძალავი, გამაფრთხილებელი და მიმთითებელი ნიშნებით.

ობიექტზე შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების საკითხების ორგანიზაცია და კოორდინაცია დავალებული აქვს ტექნოლოგიური უბნის უფროსს – ბატონ ვასილ ნათბილაძეს, რომელიც ახორციელებს კონტროლს საწარმოო პროცესების უსაფრთხოდ მიმდინარეობაზე, აგრეთვე პასუხისმგებელი პირების, ინჟინერ-ტექნიკური და მუშა პერსონალის მიერ თავიანთი ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებაზე ტექნიკურ უსაფრთხოების საკითხებში. ორგანიზებას უწევს მათ სწავლებას, მომზადებას და ცოდნის შემოწმებას.

საწარმოში დანერგილია შრომის დაცვის და ტექნიკური უსაფრთხოების სამსაფეხურიანი კონტროლი, რომელიც არის ცალკეულ სამუშაო ადგილებზე, უბნებზე, სამქროებში და მთლიანად საწარმოში ყოველ ცვლაში, კვირაში, თვის განმავლობაში შრომის უსაფრთხოების მდგომარეობის ოპერატიული კონტროლის ძირითადი ფორმა, რომლის ძირითადი მიზანია საწარმოო პროცესების

მიმდინარეობის, მანქანების, მოწყობილობების და სამუშაო ადგილების შესაბამისობის ზედამხედველობა უსაფრთხოების წესების მოთხოვნების მიმართ, აგრეთვე სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელების და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მიერ უფლება-მოვალეობების შესრულების კონტროლი შრომის უსაფრთხო პირობების შექმნის სფეროში.

სმაური

ჩატარებულია მავნე ზემოქმედების შეფასება, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს პროცესებით გამოწვეულ სმაურთან.

საწარმოო უბნებში მუშა-მოსამსახურეთა შრომის უსაფრთხოებისა და სოციალური პირობების დაცვის მოთხოვნები განსაზღვრულია საქართველოში მოქმედი ეროვნულო ნორმატიული დოკუმენტებითა და სტანდარტებით. წარმოებაში გამოყენებული ტექნოლოგიური დანადგარები პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს.

სმაურთან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია შემდეგ დოკუმენტებში:

საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, 1996 წ.;

საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ, 2007 წ.;

საქართველოს შრომის კოდექსი, 2006 წ.;

საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ, 1999 წ.;

ძირითადი დებულებები სმაურის კონტროლის შესახებ ადგენს სმაურის ემისიების დონეებს მანქანა-დანადგარებისათვის, მექანიზმებისა და აღჭურვილობისათვის, აგრეთვე, გარემომცველი სმაურის დონეების საცხოვრებელი და სამრეწველო დანიშნულების შენობებისა და ქუჩებისათვის.

სმაურის გამომწვევი მოწყობილობების მიერ სმაურის დონეების შეფასებისას საჭიროა:

მოქმედ ობიექტები მოსალოდნელი სმაურის დონეებისა და დასახლების ტერიტორიაზე მიღწეული სმაურის დონეების შეფასება და საჭირო შემთხვევაში შემამცირებელი დონისძიებების დასახვა;

სმაურის წნევების და სმაურის დონეების დასაშვები სიდიდეები დასახლებულ პუნქტებისათვის მოცემულია ცხრილ 13-ში.

ცხრილი 13

დასახლებულ კუნძგების დაცილება	ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხში- რები								ხმაურის და- საშვები დო- ნები
	63	125	250	500	1000	2000	4000	8000	
	ხმაურის წევების დონეები, დბ								
დასახლებულ კუნძგის ტერიტორია,	67	57	49	44	40	37	35	33	45

დანადგარების ტექნიკური დახასიათების შესაბამისად სამუშაო ობიექტზე ხმაურის მაქსიმალური სიდიდე შესაძლებელია 85 დბ-ის ტოლი იყოს

ხმაურის ფაქტიური ზემოქმედება დამოკიდებულია ობიექტზე მოწყობილობა-დანადგარების განლაგებაზე, ხმაურის რეალურ ემისიებზე და ატმოსფეროში ხმაურის ჩაქრობის ადგილობრივ (ლოკალურ) კოეფიციენტებზე,

რომლებიც ცხრილ 14-შია მოყვანილი.

ცხრილი 14

ოქტავური ზოლ- ების საშუალ- გეომეტრიული სიხშირეები	63	125	250	500	1000	2000	4000	8000
ხმაურის ჩაქრობა დბ/კმ-ში	0	0,7	1,5	3	6	12	24	48

ცხრილ № 2-ში მოყვანილი ხმაურის ჩაქრობის კოეფიციენტები (ატმოსფეროში ხმაურის წყაროდან დაცილების მხედველობაში მიღებით) გათვალისწინებულია გაშლილი ტერიტორიებისათვის, სადაც ხმაურის გამომწვევ წყაროებსა და დასახლებულ კუნძგებს შორის ხმაურის გავრცელების რაიმე ბუნებრივი ზღუდე, რომელიც შეამცირებს ხმაურის დონეს არ არსებობს.

აღნიშნული მხედველობაშია მისაღები დასახლებისა და დასასვენებელი ტერიტორიის შერჩევისას. ე.ი. დანადგარების ტექნიკური პირობების შესაბამისად სამუშაოების მიმდინარეობისას ხმაურის მაქსიმალური სიდიდე არის 85 დბ, ხოლო საცხოვრებელ და დასასვენებელ ტერიტორიაზე დასაშვებია ხმაურის დონე 45 დბ ან ნაკლები.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მოსახლეობის, ისე ფაუნის წარმომადგენლების სიმშვიდის დარღვევა პრაქტიკულად არ ხდება, ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე (არსებული დანადგარები და შესაბამისად მათი ძრავები განთავსებულია შენობების ნულოვანი ნიშნულების ქვევით) და მისი საცხოვრებელი უბნებიდან დიდი მანძილით დაშორებით.

ზოგადად, სამშენებლო და საწარმოო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ხმაურის ზემოქმედების ზუსტი კრიტერიუმი არ არსებობს. ამ მიზნით შესაძლებელია გამოყენებული იქნას ყოფილ სსრკ-ს სტანდარტებით დადგენილი ზღვრული ნორმა – დღის დროისათვის 85 დეციბელი. აგრეთვე მისაღებია მხედველობაში ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის სახელმძღვანელო მითითებები და რეკომენდაციები. ამ მოთხოვნებით ხმაურის მაქსიმალური დონე როგორც პირობებში მომუშავე პერსონალისთვის არ უნდა აჭარბებდეს 50 დეციბელს, ხოლო მძიმე მოწყობილობის (მანქანა-დანადგარების და მექანიზმების) და სამრეწველო დანადგარების ახლოს – 85 დეციბელს.

ქვემოთ შეფასებულია არსებული ხმაურის დონე საქმიანობის განხორციელებისათვის გამოყოფილი ტერიტორიის გარშემო, აგრეთვე საწარმოო ობიექტისადმი უახლოესი მგრძნობიარე რეცეპტორების მახლობლად. საწარმოო ტექნოლოგიური ციკლით წარმოქმნილი ხმაურის წყაროების ანალიზი და ხმაურის შესასუსტებლად გამოსაყენებელი ზომების შეფასება მოითხოვს არსებული ფონური დონეების და ადგილობრივი რეცეფტორების (ზემოქმედების მიმღებების) მგრძნობიარობის განსაზღვრას. იქ, სადაც დადგინდება პოტენციურად მნიშვნელოვანი ზემოქმედებები, აუცილებელია დაიგეგმოს ხმაურის შესამცირებლად სათანადო შემარბილებელი ზომების ჩატარება – როგორც სამუშაო ადგილზე მომუშავეთათვის, ისე ხმაურის წარმომშობი ობიექტის დაშორებით არსებული რეცეპტორებისათვის და ზემოქმედებისათვის.

რადგან საქართველოში არ მოქმედებს გარემოს აკუსტიკური ფონის სტანდარტი, გამოიყენება ქვემოთ მოცემული საერთაშორისო სტანდარტები.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) გამოაქვეყნა რეკომენდაცია ხმაურის ზემოქმედებაზე, მოცემულია "IFC EHS Guidelines: Noise Management, April 2007". რეკომენდებული სიდიდეები ასახულია ქვევოთ მოცემულ ცხრილში. IFC ითხოვს, რომ ობიექტზე გამოწვეული ხმაური არ აღემატებოდეს ამ დონებს, ან გამოიწვიოს ტერიტორიის გარეთ არსებულ უახლოეს რეცეპტორზე ხმაურის დონის ზრდა 3 დბ მეტით.

1999 წელს მსოფლიო ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაწესდა საყოფაცხოვრებო ხმაურის რეკომენდაციები დღის და დამის საათებში სერიოზული შეშფოთების თავიდან აცილების მიზნით. სიდიდეები მოცემულია ცხრილ 15-ში.

IFC EHS ხმაურის რეკომენდებული სიდიდეები

ცხრილი 15

ხმაურის დონე რეკომენდებული სიდიდეები		
	ერთი სო. Leq (dBA)	
რეცეპტორი	დღის საათებში 07:00 – 22:00	დამის საათებში 22:00 – 07:00
საცხოვრებელი, ინსტიტუციონალური, სასწავლო	55	45
ინდუსტრიული, კომერციული	70	70

ცხრილი 16

სპეციფიური გარემო	კრიტიკული გვექტი ჯანმრთელობაზე	Aeq [dB]	დრო [სო]	LAდაქ, [dB]

გარე საცხოვრებელი ტერიტორია	სერიოზული შეშფოთება დღის და საღამოს საათებში ზომიერი შეშფოთება, დღის და საღამოს საათებში	55 50	16 16	- -
საცხოვრებელი, შიდა სათავსები, საძინებლები	საუბრის გარჩევადობა და ზომიერი შეშფოთება, დღის და საღამოს საათებში ძილის დარღვევა, დამის საათებში	35 30	16 8	- 45
ინდუსტრიული, კომერციული, საგაჭრო და სატრანსპორტო ტერიტორიები, გარე და შიდა	სმენის დარღვევა	70	24	110
პარკები და ნაკრძალები	სიმშვიდის დარღვევა	№1		

№1 დაცული უნდა იყოს არსებული გარე „წენარი“ ტერიტორიები, წარმოქმნილი ხმაურის დონის ფონზე ხმაურის დონესთან თანაფარდობა დაბალი უნდა იყოს.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მოსახლეობის, ისე ფაუნის წარმომადგენლების სიმშვიდის დარღვევა პრაქტიკულად არ ხდება, ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე (არსებული დანადგარები და შესაბამისად მათი ძრავები განთავსებულია შენობების ნულოვანი ნიშნულების ქვევით) და ამასან ერთად მისი საცხოვრებელი უბნებიდან დიდი მანძილით დაშორებით.

ვიბრაცია

ქვეყნების მიხედვით სტანდარტული ან რეკომენდებული სიდიდეები მოცემულია ცხრილ ში. სტანდარტები ჩვეულებრივ განსაზღვრავენ ზღვრებს, რომელთა საშუალებით ზიანი კლასიფიცირდება როგორც კოსმეტიკური (წვრილი ბზარების ფორმირება), მცირე (დიდი ბზარების წარმოქმნა) ან მსხვილი (სტრუქტურული ელემენტების დაზიანება). კონსერვატიული მიდგომისთვის, ქვემოთ შეჯამებული სიდიდეები დაკავშირებულია მხოლოდ კოსმეტიკურ და არა მცირე ან დიდ სტრუქტურულ დაზიანებებთან.

სტანდარტები და რეკომენდებული სიდიდეები

ქვეყნების მიხედვით

ცხრილი 17

სტანდარტი	ქვეყნა	შენობის კლასიფიკაცია	ვიბრაციის ზღვრები mm s^{-1} (ppv)
სტანდარტი 7385: ნაწილი 2: 1993 ‘შენობებში ვიბრაციის შეფასება და გაზომვა, ნაწილი 2. ვიბრაციით გამოწვეული დაზიანების დონის სახელმძღვანელო’	ბრიტანეთის გაერთიანებული სამეცნ	არაარმირებული ან მსუბუქი კარგასული კონსტრუქციები. საცხოვრებელი ან მსუბუქი კომერციული ტიპის შენობები.	15 mm s^{-1} -დან 4 ჰე სიხშირეზე 20 mm s^{-1} -მდე 15 ჰე. 20 mm s^{-1} -დან 15 ჰე-ზე 50 mm s^{-1} -მდე 40 ჰე სიხშირეზე და ზევით.
სტანდარტი 5228: ნაწილი 4: 1992 ‘სამშენებლო ნორმები და წესები ხიმინჯების ჩასმისას წარმოწმილი ხმაურის და ვიბრაციისთვის’	ბრიტანეთის გაერთიანებული სამეცნ	კარგ მდგომარეობაში მყოფი საცხოვრებელი საცხოვრებელი სადაც საწყისმა შესწავლაშ მნიშვნელოვანი დეფექტები გამოავლინა	10 mm s^{-1} 5 mm s^{-1}

აგსტრალიის სტანდარტი ასაფეთქებელი ნივთიერებების კოდექსი AS 2187.2 – 1993 - ასაფეთქებელი ნივთიერებები – შენახვა, ტრანსპორტირება და გამოყენება	აგსტრალია	საცხოვრებელი და შენობები, კომერციულის ჩათვლით - არა რკინაბეტონის ან ფოლადის კონსტრუქციისა	10 mms^{-1}
DIN 4150, 1986, ვიბრაცია შენობებში, ნაწილი 3, ზემოქმედება კონსტრუქციებზე	გერმანია	საცხოვრებელი და მსგავსი დიზაინის და/ან გამოყენების შენობები	5 mms^{-1} - 10 ჰც ნაკლების სიხშირის პირობებში, 5- 15 mms^{-1} 10 -დან 50 ჰც ინტერვალში, 15- 20 mms^{-1} 50-დან 100 ჰც -მდე ინტერვალში

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მოსახლეობის, ისე ფაუნის წარმომადგენლებზე ვიბრაციის ზემოქმედება პრაქტიკულად არ ხდება, ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე (არსებული დანადგარები და შესაბამისად მათი ძრავები განთავსებულია შენობების ნულოვანი ნიშნულების ქვევით) და ამასთან ერთად ობიექტი საცხოვრებელი უბნებიდან დიდი მანძილით დაშორების გამო.

არქეოლოგია

საქართველოს კანონმდებლობის და პრეზიდენტის განკარგულების თანახმად საქმიანობა, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს ნებადართულია მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კვლევის ცენტრთან და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს შესაბამის სამსახურთან შეთანხმების შემდეგ.

აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილი საკმაოდ მდიდარია სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლებით. საკმარისია დავასახელოთ ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლი, როგორიცაა დავით გარეჯის არქეოლოგიური ძეგლები.

